

#31
2009
January,
February

საშობაობა
ინტერიერი
დობანი
LONON

STYLE

ARCHITECTURE INTERIOR DESIGN

EGOISTE

DESIGN BY AMIRAN



CAPAROL



ISSN 1987-5355

ISSN 1987-5355

სპეტიკრაღი FM-95.1



შ.პ.ს. ინსტა




დაჯგერო, დაჯგეროშვილი,
ხანძარსადაცხარებანი სინჯარანი,
პროექტირება, მონტაჟი



ოფისი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №8.
ტელ.: 20 20 20 21, ფაქსი: 20 20 22.
e-mail: sales@insta.ge

დაჯგერო: თბილისი,
პარკ-გაბილეტი №64
ტელ.: 20 20 23, 39 90 98
e-mail: shop@insta.ge

ხაზები: 555 066, №100
ტელ.: (888 222) 3 03 49



სამთრომეორეული

www.insta.ge




A

**ქვემოთ მოცემული
გინესსცენტრის პავერა
BCV**

გინესსცენტრის მშენებლობა უკვე დასრულებულია

**თქვენ შეაჩვენეთ შედეგები ან ნაბიჯები მშენებლის, სანაპირო პროექტ
რეკონსტრუქციის რეკონსტრუქციის კომპანიაში**



**თქვენს კომპორტზე ჩვენი
პროფესიონალები იზრუნებენ**

სარეკლამო კომპანია

სტილი

ბაზმასაშენი - ეომპანია სტილი და დიმიტრი მოსულიშვილი
 ენიხაშოვი - ეკა ჯავახიშვილი
 ხელახლოვი - ნინო ღაღიძე
 ინფორმაციანი - ნინო ღაღიძე, ღალი ბახტაძე
 ხელახლა - აღისა შომახია, ნათია მაისურაძე
 თხიბმანი - ნატა კურტანიძე
 ეომპანიაშენი ენიხაშოვი - თამაზ ჩხაიძე
 ენიხაშოვი - გია ნოზაძე
 ბაზმასაშენის მენეჯერი - მიხან მახვალტაშვილი

PUBLISHER - Company **STYLE & Dimitri Mosulishvili**
DIRECTOR - Eka Javakhishvili
EDITOR - Nino Laghidze
INFORMATION - Nino Laghidze, Lali Bakhtadze
ADVERTISING - Alisa Shomakhia, Natia Maisuradze
TRANSLATION - Nata Kurtanidze
COMPUTER GRAPHIC - Tamaz Chkhaidze
DESIGN - Gia Nozadze
SALE MANAGER - Mirian Margalitashvili

ეომპანია "სტილი"
 0160 თბილისი, გამიყუელის ქ. N7, ბ.27
 ტელ/ფაქსი: 38-33-24.
 მობ: 877 44-86-00, 893 42-74-73

7 Gamrekelis Str., 0160 Tbilisi, Georgia.
 Tel/fax: (+995 32) 38-33-24.
 Mob: (+995 77) 44-86-00, (+995 93) 42-74-73

<http://www.archi-competition.com.ge>
 E-mail: inbox@archistyle.ge

www.archi-competition.com.ge

სარეკლამო ტექსტის შინაარსზე
 რედაქცია პასუხს არ აგებს

გთავაზობთ:

- ◆ გარე რეკლამის დამზადება და განთავსება;
- ◆ ვიდეო რეკლამის დამზადება და განთავსება;
- ◆ პროექტირება, მშენებლობა, დიზაინი.



ლაზარეტიანი სტამბაში "ომეგა ტეგი"
 საახითაძო, თბილისი, სახაჩიშვილის 17
 ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
 TELEPHONE +995 32 53 03 62



CAPAROL

ნომის სპონსორი
 შპს „კაპაროლ-ჯორჯია“


არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

აქტიუტექნიკ-დიზაინერი ენიხაშოვი "სტილი" ავღა აგძელს
 თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენს მიერ ხელისუბული აქტიუტექ-
 ნიკ-დიზაინერი ჰოიუტები. მათ შორის საუეთესობი განთავსებული
 იქნება ენიხაშოვი "სტილის" მომდევნო ნომიუბში, ისთვისაც წინასწახ
 გიბლით მადლობას.

ხელაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასაღის მომზადების
 და ჰუბლიყაციისათვის აუცილებული ჰიომბა - ენიხაშოვი გამოსაქვეყნებუ-
 ღი ობიუტე ნახომდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასაღის
 მალაღმზახველი სახისხით - ავტოიმა უხეუნვეყოს ობიუტეს ჰიო-
 უესიული ფოტოგადაღება.

სეჩვილს-აშენი



პროექტირება: სეჩვილს-აშენი
საპროექტო-პროექტირება

პროექტირება: სეჩვილს-აშენი
საპროექტო-პროექტირება
საპროექტო-პროექტირება
სეჩვილს-აშენი

საპროექტო-პროექტირება
სეჩვილს-აშენი

საბურთალოს რაიონი, გ. 49

საბურთალოს რაიონი, გ. 07

ტელ. 49-01-50, ფაქსი 899 55-05-33

ყურადღება, სიახლე!!! არქიტექტორთა კლუბი

Attention, Novelty!!! Architects' Club

2008 წელს ჟურნალი „სტილის“ ბაზაზე არქიტექტორთა ინტერნეტ კლუბი - პროფესიონალი არქიტექტორების და დიზაინერების გაერთიანება შეიქმნა. იგი საერთაშორისო საზოგადოებრივი, არაკომერციული ორგანიზაციაა.

კლუბი შეიქმნა:

- პროფესიონალური ურთიერთობებისათვის;
- საკუთარი შემოქმედების წარმოსაჩენად;
- ქალაქმშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინის სფეროში არსებული პრობლემების განსახილველად და გადასაჭრელად;
- კლუბის წევრთა ბიზნესის მხარდასაჭერად;
- ჟურნალი „სტილის“ და საერთაშორისო კონკურსების „არქიტექტურული პრემია“ პოპულარიზაციისთვის.
- პრეზენტაბელურ გარემოში საინტერესო ადამიანების არაფორმალური ურთიერთობებისათვის.

კლუბის პერსონალური წევრობის სტატუსი და ბარათი შეუძლია ჰქონდეთ:

- შესაბამისი განათლების მქონე პროფესიონალ ქართველ ან უცხოელ არქიტექტორებს, დიზაინერებს;
- არაპროფესიონალებს, რომელთა პროექტებით განხორციელებულია შენობა-ნაგებობები, ინტერიერები, დიზაინი;
- პირებს, რომელთა პროფესიონალური საქმიანობა დაკავშირებულია არქიტექტურასა და მშენებლობასთან და მიმართულია მისი განვითარებისკენ (არქიტექტურული ჟურნალისტიკა, კრიტიკა, საგამოფენო საქმიანობა, არქიტექტურის მენეჯმენტი და ა.შ.).
- სტუდენტებს შეუძლიათ გახდნენ, როგორც კლუბის წევრები, ასევე კლუბის სტუდენტური სექციის წევრები.

დაინტერესების შემთხვევაში, დანვრილებით ცნობებისათვის მოგვმართეთ:
0160, თბილისი, გამრეკელის ქუჩა №7
ტელ./ფაქსი: (+995 32) 38 33 24
მობ: (+995 93) 42 74 73
e-mail: inbox@archistyle.ge

In 2008 STYLE Magazine established an internet-club for professional architects and designers. The club is an international public non-profit organization.











The Club was established in order to:

- Foster professional relationships;
- Provide its members with an opportunity to publicize their works;
- Discuss and solve issues, related to urban planning / development, architecture and design;
- Support business activities of club members;
- Promote STYLE Magazine and international competition Architectural Award;
- Provide an informal social environment for personal contacts.

Personal membership of the Club is open to:

- Georgian and foreign architects and designers with relevant educational background;
- Amateurs, whose construction, interior and design projects have been realized;
- Persons, whose professional activities are connected with architecture and construction and / or are directed at their development (architectural journalists, critics, exhibition organizers, architectural managers / administrators, etc.)
- Students can become members of the club proper or the student section of the club.

In case of your interest, please get in touch with us at
7 Gamrekeli Street, Tbilisi 0160
Phone / fax: (+995 32) 38 33 24
Mobile: (+995 93) 42 74 73
E-mail : inbox@archistyle.ge



CAPAROL

ᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁ

ᄁᄁᄁᄁᄁ

ᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁ

ᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁᄁ

არქიტექტურული კონკურსი 2009



„არქიტექტურული კონკურსი 2009„ მოსაპოვებლად
გაძედეუბა საკონკურსო მასაღის მიღება

ტელ.: 38-33-24 მობ.: 893 42-74-73

www.archi-competition.com.ge

ყურადღება, სიახლე!

საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა საფუძველზე შეიქმნა

ა.ა.ი.პ. "საქართველოში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისა და მეწარმეთა სამართლებრივი ინტერესების დაცვის სერვისო-სამართლებრივი ასოციაცია"

ასოციაციასთან შექმნილი რამოდენიმე სამსახური - დეპარტამენტი წარმატებით განახორციელებს მათზე დაკისრებულ კონკრეტულ საქმიანობას:

საზღვარგარეთი ურთიერთობებისა და ბიზნესის განვითარების ეკსპერტის

- დაგეხმარებათ ნებისმიერი კულტურული ურთიერთობების დამყარებაში საზღვარგარეთის ქვეყნებთან;
- დაგეხმარებათ საქართველოში, საზღვარგარეთიდან ტურისტების მოზიდვაში;
- გაგიწევთ სავიზო ხელშეწყობის უზრუნველყოფას;
- გაგიწევთ საზღვარგარეთ დროებითი სამუშაო ვიზის ხელშეწყობის უზრუნველყოფას;
- გაგიწევთ ალტერნატიული სამუშაო ადგილების უზრუნველყოფას.

იურიდიული ეკსპერტის

- ასოციაცია მოწოდებულია დაიცვას ინტერესები თქვენს საქმიანობაში უკანონო ჩარევისგან. მნიშვნელობა არა აქვს ვისგან მომდინარეობს იგი (ფიზიკური, კერძო სამართლის თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან) და იმ შემთხვევაშიც კი თუ ამ პრობლემებს თქვენი ადგილობრივი იურიდიული სამსახური ვერ მოაგვარებს;
- გაწევრიანების შემთხვევაში უფასო იურიდიული და 50% ადვოკატის მომსახურება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ეკსპერტის

- ასოციაციაში გაწევრიანება ნებაყოფლობითია;
- ასოციაციის წევრი ისარგებლებს უპროცენტო კრედიტებით, ერთი წლის განმავლობაში შემოტანილი საწევროს ათმაგი ოდენობით;
- აქტიური მონაწილეობის მიღება საქველმოქმედო აქციებში, რადგან ქველმოქმედება არასამთავრობო ორგანიზაციების მთავარი უფლება-მოვალეობაა.

მეწარმეთა სამართლებრივი ინტერესების დაცვის ეკსპერტის

- ორგანიზაცია დაფუძნდა თქვენი ფინანსური და სამართლებრივი ინტერესების დასაცავად;
- დახმარებას აღმოგიჩენთ იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენი ზარალი მოგადგათ დანაშაულებრივი ხელყოფისგან;
- იქმნება მეწარმეთა ფინანსური ურთიერთდახმარების დამოუკიდებელი ანგარიში მეწარმეთა დახმარებისათვის;
- ხელს შეგიწყობთ თქვენი პროდუქციის რეალიზაციაში.

ასოციაციის მთავარი ამოცანაა სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო ჩარევების აღკვეთა, ისევე და ისევე კანონის მიხედვით, რათა საქართველოში მეწარმე დაცული იყოს ეკონომიურად და სამართლებრივად.

ასოციაციის მისამართი: ი.ჭავჭავაძის 68
ტელ: 18-49-21, 18-49-23, 22-43-81.
ელ-ფოსტა: a.a.i.p.asociacia@posta.ge

სარჩევი Content



ჭუთაისის ისტორიული
ცენტრის რეაბილიტაცია

Rehabilitation of the
Historical Center
of Kutaisi

ქაიჯი
CITY

12



ლამაზი ისტორია
A nice story

58




მისონის სახლი
Missoni Home

64



ქარვასლა ჭუთაისში
Caravan-serai in Kutaisi

22



პროექტი ინტელექტუალური
და სულიერი
Intellectual and
Spiritual Architecture

პროექტი
PROJECT

68



სიახლე ჭუთაისის
ისტორიულ პარკში
New Developments
in Historical
Kutaisi Park


26



ეგოისტის დიზაინ-კოლაჟი
Egoist's
Design Collage


ინტერიორი
INTERIOR

70



მიკროსამყაროს
სიმბოლური ველი
Symbolical Dimension
of the Micro-cosmos

30



„პრაიმკლას CIP“ * ლაუნჯი
Primeclass CIP * Lounge

78




სახლი
ხარფუხში
House in Kharpukhi
District

36




აქსისის ახალი ოფისი
Axis's New Office

80



რეკონსტრუქცია
ბაზის რიგში
Mixed-use Building
Reconstruction
in Old Tbilisi

38




დემოკრატიული სტილი
Democratic Style

84



სავაჭრო ცენტრი
trade centre

42



Pierrot le Feu

86



უცხოელი არქიტექტურა
FOREIGN ARCHITECTURE


ვინ ვართ ჩვენ
Who we are

46




DIRK BIKKEMBERGS

90



სანან სალამზადე
Sanan Salamzadeh

50




კომფორტი კომერციულ
სივრცეში
Comfort
in Creative Interior

94




ნაზიმ ვალიევი
Nazim Valiev

54




ესთეტიკა და პრაგმატიზმი
Aesthetics and
Pragmatism

98



დიპლომატი
სოლოლაკში
Diplomat in Sololaki

100




ლონდონ პაბი
London Pub

102



საგნობრივი გარემოს ანტურაჟი
Material Surroundings
with a Creative Turn

104




ინტერიერის ორიენტირი
Something stupid
about interiors

108




მინიმალიზმი და სისადავე
Minimalism and
Simplicity

112



ექსკლუზივი ინტერიერში
Exclusive for the
Interior

116



ახალი ამბები
NEWS

ფოტომანი 2008
Photoman 2008

120



ალესის 100 საუკეთესო
ნამუშევარი
The 100 Best of ALESSI


122



ისტორია
HISTORY

ქართველი დედოფალი და
სელჯუკთა არქიტექტურა
Georgian Queen and
Seljuk Architecture


124



ვერსიაჟი
VERNISAGE

რომანტიკულიდან ფერწერულ
ლაპიდარულობამდე
From Romance
to Measured Precision

128



ფლირტი ფერწერასთან
Flirting with Fine Art

136

REAL ESTATE



სამართლებრივი ინფორმაცია



2009

ქუთაისი
CITY

ქუთაისის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაცია

I ეტაპი

2008 წლის 21 დეკემბერს ქუთაისში საზეიმოდ გაიხსნა რეაბილიტირებული ისტორიული ცენტრი. სამშენებლო სამუშაოები 2007 წელს დაიწყო. პროექტი რამოდენიმე ეტაპს მოიცავს. ამ დროისთვის მხოლოდ პირველი ეტაპი დასრულდა. მასზედ რამოდენიმე ათეული მილიონი ლარი დაიხარჯა.

რეაბილიტაციის პროექტის პირველი ეტაპი თეთრ ხიდს, ცისფერყანწელების, პუშკინის, წერეთლის, წმინდა ნინოს, რუსთაველის ქუჩებს და მათზე მდებარე შენობებს შეეხო (ფასადების რესტავრაცია-რეკონსტრუქცია და ახალი ნაგებობების მშენებლობა). შენობები, ძირითადად მე-18 - მე-19 საუკუნისაა. ისტორიული უბნის იერსახის აღდგენა-რეაბილიტაცია საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოხდა. ცენტრის საზეიმო გახსნას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო.

პროექტის მმართველი კომპანია: „არქიტექტორები ჯი“

მთავარი არქიტექტორი ბ. ჩიგოგიძე

მთავარი კონსტრუქტორი თ. ლაზარიაშვილი

პროექტის მთავარი არქიტექტორები: ლევან მუშკუდიანი. გაგა კიკნაძე.

პროექტზე მუშაობდნენ არქიტექტორები: მ. სანაია; გ. კვერცხიშვილი; ა. პროზოროვა; თ. ანდლულაძე; თ. ასაბაშვილი; გ. გუგუნავა; ვ. ვისოცკი; ა. კალატოზიშვილი; ა. კიკნაძე; ი. კუპატაძე; დ. მეგრელიძე; მ. მირზიაშვილი; ს. სიხარულიძე; რ. ჯანშიაშვილი.

დირექტორი: ქ. ქობულაია

სარეაბილიტაციო არაბალი 85. 000კვ.მ

კაპიტალური სამუშაო (ქუჩები, სკვერები) 40. 000 კვ.მ

ფასადის კედლების საერთო ფართი

(ორთოგონალურ პროექციაში) 28. 000 კვ.მ







ქუთაისს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ტურისტებისთვის მიმზიდველ ქალაქს, ხელოსნობისა და ხალხური რენესის ცენტრს, კულტურულ-სამეცნიერო ღონისძიებების მოწყობის ადგილს დიდი პოტენციალი აქვს. ამიტომ, მისი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლების თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ქუთაისის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროგრამის განხორციელებას.

საპროექტო დავალება გულისხმობდა ქუთაისის „ყოფილი სილამაზის“ აღდგენას ტრადიციული და ადგილობრივი არქიტექტურული ფორმებისა (XIX-XX საუკ. მიჯნა) და მასალების (ეკლარი, გელათის ქვა, გრანიტი) გამოყენებით.

პროექტირება მიმდინარეობდა სახელმწიფოს ინტერესის ქვეშ, 2 ეტაპად. პროექტით გათვალისწინებული ყველა ქვის ფასადი და ელემენტი სრულად იქნა რესტავრირებული და აღდგენილი. საცხოვრებელი სახლების ნაწილს დაემატა ქვის პარაპეტები, ქალაქური იერის მისაღებად. უსახური და გვიანდელი მოპირკეთებული ფასადები ხელახლა მოპირკეთდა ეკლარის და გელათის ქვის ბლოკებით და გრანიტის ცოკოლის ქვით, ისე, როგორც ახალი ნაგებობები, რომელთა არქიტექტურული იერის შესაქმნელად გამოყენებული იყო ქუთაისის საარქივო პროექტები და ისტორიული ფოტომასალა. ფასადებზე გამოყენებულია დეკორატიული ლესვა, სტუკო და ლესვა რთული ხსნარით შემდგომი შეღებვით.







რესტავრაცია ჩაუტარდა ყველა ლითონის ელემენტს, ახალი ელემენტები დამზადა და არსებულის ანალოგიურად, გამოიცვალა ვიტრაჟები, გარე კარ-ფანჯარა, სახურავები. ცალკეული შენობების ინტერიერების დამუშავება არ შედიოდა პროექტში და მე-

საკუთრების პრეროგატივას წარმოადგენდა.

პროექტი მოიცავდა არა მხოლოდ ისტორიული ნაგებობების აღდგენა-შეკეთებას, არამედ ქალაქის ისტორიული ცენტრის, როგორც ერთიანი ურბანულ-არქიტექტურული

მთლიანობის განვითარებას. ამიტომ შენობების აღდგენასთან ერთად, მისი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციამ (მაგ. ქუჩების საფარის მოკირწვლა ქვით და ა. შ.) ძველი იერი დაუბრუნა ქალაქს, გაზარდა მისი მიმზიდველობა.





მონესრიგდა და მოშანდაკდა მიმდებარე ტერიტორიები, ტროტუარები, ბორდიურები. ბალებსა და სკვერებში საფეხმავლო ნაწილში გამოყენებულია გელათის ქვის ბლოკები და ნატიხი ქვა. ჩატარდა გამწვანების სამუშაოები, დაიდგა ქანდაკებები.

ქუთაისის ისტორიული ცენტრის რესტავრაცია-რეკონსტრუქციისა და არქიტექტურული იერსახის აღდგენის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავდა პროექტით მიღებული არქიტექტურული გადანწყვეტის საფუ-

ძველზე. იგი ითვალისწინებდა შენობების ფასადების რეკონსტრუქციას, ზოგიერთ შენობაზე ერთი სართულის, მეორე ან მესამე სართულის დონეზე დაშენებას და ცალკეული უსახური შენობების დაშლას და მის ადგილზე ახალი, ორ ან სამსართულიანი შენობის დაპროექტებას. ყოველივე კი წინასწარ ჩატარებული კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბებული კონსტრუქციული დასკვნების შესაბამისად ჩატარდა.

პროექტის განხორციელებას კოორდინა-

ცია გაუნია ქალაქის ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

ქუთაისის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის პროექტი, როგორც მთლიანი პროგრამა, მიმართული იქნა საქართველოს უმნიშვნელოვანესი ისტორიული ქალაქის ურბანულ-არქიტექტურული სახის აღდგენისათვის. ამიტომ ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ყველა სახის სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რესტავრაციის ნაწილია.

ნინო ლალიძე




Rehabilitation of the Historical Center of Kutaisi


STAGE 1



ჩსბაწჰაწთაწჰე
BEFORE



ჩსბაწჰაწთთთს შაბაბა
AFTER



ჩსბაწჰაწთაწჰე
BEFORE



ჩსბაწჰაწთთთს შაბაბა
AFTER

On December 21 2008, rehabilitation of the historical center of Kutaisi was finished. Construction started in 2007; the project implied several stages, of which only the first one has been realized by now. Total budget of this action amounted to several dozens of millions of lari.

First stage of rehabilitation project covered the White Bridge and Tsiperkantslebi, Pushkin, Tsereteli, St. Nino and Rustaveli Streets of downtown Kutaisi, including restoration of facades of the 18th-19th century houses located in these streets and construction of new buildings. Rehabilitation of the district was based on archive materials. Festive ceremony dedicated to the end of reconstruction project was attended by president of Georgia Mikheil Saakashvili.

Project management: Architectural Company "Architects.Ge"

Chief architect: B. Chigogidze


Chief construction engineer: T. Lazariashvili

Chief architects of the project: Levan Mushkudiani and Gaga Kiknadze

Architects involved in project development: M. Sanaia, G. Kvertskhishvili, A. Prozorova, T. Andguladze, T. Asabashvili, G. Gugunava, V. Visotski, A. Kalatozishvili, A. Kiknadze, I. Kupatadze, D. Megrelidze, M. Mirziashvili, S. Sikharulidze, R. Janshiashvili

Director: K. Kobulia


REHABILITATION AREA: 85000 SQ. M.
 FACILITIES (STREETS, SQUARES): 40000 SQ. M.
 TOTAL AREA OF REHABILITATED FACADES
 (IN ORTHOGONAL PROJECTION): 28000 SQ. M.




ჩვენსეხანტაშქ
BEFORE




ჩვენსეხანტონ შაქაშ
AFTER



ჩვენსეხანტაშქ
BEFORE




ჩვენსეხანტონ შაქაშ
AFTER



Kutaisi, as one of the most important Georgian cities, attractive for tourists and possessing rich traditions of craftsmanship and folk art, has a significant potential in terms of hosting cultural and scientific events. Considering these circumstances and the fact that the city was in a deplorable condition, the Georgian government launched a large-scale program, aiming at rehabilitation of its historical center.

Project assignment was to revive the lost beauty of Kutaisi and restore the local traditions and architectural values (dating to the 19th-early 20th century) of the city.




ჩსბწწწწწწწწწ
BEFORE




ჩსბწწწწწწწწწ
AFTER




ჩსბწწწწწწწწწ
BEFORE



ჩსბწწწწწწწწწ
AFTER




The project, supervised by the government of Georgia, comprised two stages. Facades and stone decorations of all the buildings covered by the project have been fully restored. Some residential houses within the project area have been decorated with stone parapets in order to highlight their urban image. Comparatively plain and recently constructed facades were tiled anew with Eklari and Gelati stone and granite slabs to repeat the design of newly-built constructions, reproducing the architectural style of archive projects and historical photo-materials, relating to urban development of Kutaisi. Façade reconstruction included such techniques as decorative stucco, and complex plastering with subsequent painting. The project also provided for restoration and renewal of metal elements, replacement of façade windows, entrance doors and roofs. Interior restoration, not implied by the project, was left at discretion of private landowners.




ჩვენამდე
BEFORE



ჩვენამდე
AFTER




ჩვენამდე
BEFORE





ჩვენამდე
AFTER

ერთი სახლის რეაბილიტაციის ისტორია


ჩაონსხუაშიაძე





ვაშაობის ახოსანი



ჩაონსხუაშვილის შობა





Besides restoration and refurbishing of historical buildings, the project also covered development of the historical center of the city as an integral urban architectural unit. Considering this, rehabilitation of the buildings was supplemented with restoration of urban infrastructure (e.g. paving of streets, etc.), which restored the old look of the city and increased its attractiveness.

The project allowed to repair and pave downtown streets, pedestrian walks and curbs, tile garden and square paths with Gelati slabs and crushed stone. Landscaping works were performed; the gardens and squares were decorated with sculptures.

Constructional part of the rehabilitation project was developed according to the general architectural concept, implying reconstruction of facades, adding extra levels to some of the houses, dismantling of comparatively ugly buildings and their replacement with new constructions. All of this was planned on the basis of preliminary research and relevant constructional conclusions.

Implementation of the project was coordinated by municipal authorities of Kutaisi.

Generally speaking, this project aimed at rehabilitation of the urban and architectural image of one of the most important historical cities of the country. For this reason, all the works implemented under this project can be considered as restoration of a historical monument.

NINO LAGHIDZE



ქარვასლა ქუთაისში

2008 წლის 25 ოქტომბერს ქუთაისში პირველი თანამედროვე ტიპის სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“ გაიხსნა.

პროექტის მმართველი კომპანია: კორპორაცია „ჩემი სახლი“

არქიტექტურული პროექტის ავტორი: შ.პ.ს. „მ 5“

პროექტზე მუშაობდნენ არქიტექტორები: დავით ხაბულიანი, ლაშა ლოსაბერიძე, ზაზა შანშიაშვილი და დათო ქოიავა.

მშენებლობას აწარმოებდა: შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია №1“



სავაჭრო ცენტრის ოთხ სართულს მათზე გადანაწილებულ 154 დამოუკიდებელ ფართს მოიცავს. სართულები ერთმანეთს უახლესი ტიპის ექსკალატორებით უკავშირდება. მისი მთელი მოცულობა უმაღლესი ხარისხის, თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი.

სავაჭრო ცენტრის მშენებლობა 3223 კვ.მ ტერიტორიაზე ხორციელდებოდა. საერთო სამშენებლო ფართი 9455,5 კვ.მ-ს შეადგენს, სა-

ერთო სარეალიზაციო ფართი - 5316,4 კვ. მ-ია. დღესდღეობით ქარვასლაში 63 მაღაზია ფუნქციონირებს. სავარაუდოდ, გაზაფხულისთვის ის მთლიანად იქნება დატვირთული.

„ქარვასლის“ ულამაზესი შენობა, რომელიც ქუთაისში, წერეთლის ქ. №4-ში მდებარეობს, სასიამოვნო დისონანსის მქონე მოულოდნელობებს დეკლარირებს. მისი არქიტექტურა გარემო სივრცის დომინანტია, ერთბაშად იპყრობს ყუ-


რადლებას და დადებითად განაწყობს მნახველს. სავაჭრო ცენტრის ინტერიერში მოხვედრისას შთაბეჭდილება ძლიერდება. დიზაინის არქიტექტონიკა განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის საერთო ატმოსფეროს. მთლიანი სივრცე ორიგინალური თემებითაა აღსავსე. მის ორგანიზებაში მინიმალიზმი და „სისუფთავე“ გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი.



ასეთი მიდგომა სტილისტიკაში „არა-ორდინალურ ჩართვებს“ განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის. აქ მოხვედრილი დამკვირვებელი, სხვადასხვა დომინანტს დიზაინერული ნიუანსებით შექმნილი ექსპოზიციის ფონზე აღიქვამს, ახალი ინტერიერის ესთეტიკა საჭიროებს არა მხოლოდ ახალ ფორმებსა და საგნებს, ის აუცილებლად ეყრდნობა უკვე არსებულს - მის სახასიათო ნიუანსებს, ცალკეულ ასოციაციებს, რაც მთელი სივრცის ჭეშმარიტად თანამედროვე ფლერადობის გამოსავლენადაა აუცილებელი.

კორპორაცია „ჩემი სახლი“ 2005 წლის 29 მარტს დაარსდა. მისი მუშაობის ძირითადი მიმართულებებია მენეჯმენტი, მშენებლობა, არქიტექტურა და დიზაინი. კორპორაციის მიერ განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია, თბილისში, ალმაშენებლის ხეივანში მდებარე ბიზნეს-ცენტრი, რომლის მშენებლობა 2005 წლის აპრილში დაიწყო და 2007 წლის თებერვალში დასრულდა. ეს არის უახლესი ტიპის ბიზნეს-ცენტრი, სადაც „შოუ-რუმები“ ავეჯის სალონი და კორპორაციის ოფისია განთავსებული.

ნინო ლალიძე



Caravan-serai in Kutaisi

On October 25 2008, the first modern-style trade center "Karvasla" was opened in Kutaisi.

Project manager:
Corporation "Chemi Sakhli"

Architectural design developer:
AB5 Ltd.

Architects: David Khabuliani,
Lasha Losaberidze,
Zaza Shanshiashvili and
David Koiava

Contractor:
"Samsheneblo Kompania No. 1" Ltd.





Trade center is a four-level construction with 154 isolated interior spaces. The levels are connected by modern moving staircases. The whole building is constructed using high quality materials and advanced technologies.

Area of the construction site is 3223 sq. m., total gross area of trade center building is 9455.5 sq. m., while its net area amounts to 5316.4 sq. m. As of today, there are 63 working shops in the trade center; presumably, all the sales outlets will be launched by spring 2009.

Design of "Karvasla" building, located in 4 Tsereteli

Street, Kutaisi, is based on the effects of unexpectedness and surprise. The trade center dominates its architectural setting, catching the eye and adding a positive emotional tint to the environment. These effects are further strengthened in the interior. Strict and logical architectonics of the design largely defines its general atmosphere. The key space-organizing artistic principles are minimalism and "purity", enabling "unordinary interruptions" and making them relevant. This exposition of design dominants not only justifies the necessity of new forms and objects, but is also based on the existing, traditional details and associations, indis-

pensable for highlighting the modern character of the space.

Corporation "Chemi Sakhli" was founded on March 29 2005; its major activities are management, construction, architecture and design. Among the projects, implemented by the corporation, we would like to specially mention a business-center located in Agmashenebeli Alley, Tbilisi, construction of which started in April 2005 and finished in February 2007. This a business center of modern type, housing several show rooms, a furniture salon and corporation office.

NINO LAGHIDZE

ელექტრო - სანონების პროექტების შოპინგი



სანონების პროექტების შოპინგი

www.cemgeorgia.com

info@cem.ge

ტელ./ფაქსი: (995 32) 307 330, 702 409

მისამართი 0137, მთკინჯის გაშვების 24ა



სიახლე ქუთაისის ისტორიულ პარკში

ქუთაისის ისტორიული უბნების განუყოფელ ნაწილს - ხიდებით, მოედნებით, ბალებით დაკავშირებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი განაშენიანების ურბანულობა და უზუსტესი მასშტაბურობა განსაზღვრავდა. ერთ დროს კი მისი განადგურება ჩათვალეს საჭიროდ, რამაც აბსოლუტურად დაარღვია ქალაქის იერსახე. იგი აუცილებელ რეგენერაციას მოითხოვდა. ქალაქის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის იდეა, შემდგომ კი პროექტი თანდათან ჩამოყალიბდა და დაიხვეწა (ავტორი: არქ. სტუდია „მ კვადრადი“. ხელმძ. დავით ცუცქერიძე. პროექტზე სხვა რამდენიმე არქ. კომპანიაც მუშაობს). მისი რეალიზაცია დაწყებულია. თანამედროვე სახითაა აღდგენილი, როგორც ისტორიული, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ბაღი (ყოფილი წულუკიძის სახელობის ბაღი), ასევე ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი, მათი დამაკავშირებელი საბაგირო გზით. თავისთავად ცხადია რეაბილიტაციის პროექტი მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ, არქიტექტურული თვალსაზრისით, ღირებული საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების აღდგენასაც ითვალისწინებს. პროექტი რა თქმა უნდა კიდევ გადაამუშავდება მოცულობითი ლავირებისა თუ კონსტრუქციული ნაწილის დახვეწის ხარჯზე.

პარკების მშენებლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში. მათი არსებობა ხელს უწყობს ბავშვებისა და მოზარდების პატრიოტულ, სოციალურ და შემეცნებით განვითარებას.

სწორედ ამ მიზნით, 2007 წლის ოქტომბერში დაარსდა მრავალპროფილიანი შ.პ.ს. „ტექნოკომპარკი“. მისი დამფუძნებელი ბატონი ლაშა გიორგობიანი, თბილისელთა იმ კატეგორიის განეკუთვნება, რომელმაც ბავშვობის ოცნება აისრულა და საკუთარი ენთუზიაზმით შექმნა ამ საქმის სპეციალისტების ჯგუფი.


მის სახელს უკავშირდება 2000 წელს ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების GWS ქარხნის წარმოუდგენლად უმოკლეს დროში გაშვება და მისი ტექნიკური უზრუნველყოფა.

ჯერ კიდევ ჩინეთში მრავალწლიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ დაბრუნებულ ბატონ ლაშას შესთავაზეს იმ დროისათვის ახლად წამოწყებულ პროექტში, მთაწმინდის პარკში, ტექნიკური დირექტორის თანამდებობა და ისიც შემართებით შეუდგა ამ ახალ საქმიანობას.

მისი ხელმძღვანელობითაა დამონტაჟებული მთაწმინდის პარკში, ბავშვთა საოცნებო ქალაქში, უახლესი ტექნოლოგიის უამრავი ატრაქციონი, ტრამვაის ხაზი, სხვადასხვა საბავშვო, საოჯახო, ექსტრემალური და ვიდეო ატრაქციონები.

ამჯერად, თქვენი ყურადღება გვსურს შევაჩეროთ ქ.ქუთაისის ბ.გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკზე. აქ საბავშვო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ზონები და კულტურული ცენტრები განთავსდა. მნიშვნელოვან ყურადღებას იმყოფებს პარკში მრავალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ულამაზესი ატრაქციონის ერთობლიობა. მათი მეშვეობით გარემო აბსოლუტურად გარდაიქმნა და არაორდინალური იერსახე მიიღო.

ყოველი მონაკვეთი მოულოდნელობებით აღსავსე პერსპექტივებს განაპირობებს. აღსანიშნავია, ატრაქციონი „წრიული თვალთახედვა“, რომლის კონსტრუქციაშიც ურთულესი და უახლესი მეთოდებია გამოყენებული - ეკონომიურია მისი ილუმინირება და საერთაშორისო მასშტაბით ახალი სიტყვაა ნათქვამი ამ ტიპის მშენებლობაში. პატარა სკვე-



რები, უცნაურად მოკირნლული ბილიკები, კარუსელების, ატრაქციონების ორიგინალური დიზაინი და ფერადოვნება - მათ მიერ წარმოქმნილი მოცულობითი კომპოზიციები მასისა და სივრცის ურთიერთობით ხასიათდება. ფორმანარმოქმნელ სანყის სკულპტურული, თვითმყოფადი ცოცხალი მასა წარმოადგენს. სივრცე კი კომპოზიციურად ექვემდებარება მას. იქმნება ადამიანისათვის განსაზღვრული ემოციურად დატვირთული გარემო. ყოველი მონაკვეთი მნიშვნელოვნად თვითმყოფადია და ვისაც შესწევს უნარი შეიგრძნოს ეს სილამაზე - ეძლევა შანსი დატყბეს არქიტექტონული სპექტაკლით.

ამჟამად შ.პ.ს. „ტექნოკომპარკი“ წარმოადგენს მრავალპროფილიან ფირმას.






იგი მონაწილეობს სხვადასხვა სპეციალიზირებულ გამოფენებში, აქვს შემოთავაზებები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საპარკე ატრაქციონების მონტაჟთან და ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. კავშირი და საქმიანი ურთიერთობა აქვს ატრაქციონებისა და საპარკე საქმისათვის საჭირო მონწილეობების მწარმოებელ ფირმებთან, როგ-

ორც ევროპის ქვეყნებში, ასევე აზიაშიც - ისეთებთან, როგორცაა INTERLINK; VANEGDOM; I.E. PARK; FABRY GROUP; BERTASSON; TECHNIKALPARK MOSER ENTERFEINMENT; AILE PLAY; VISA და სხვა.

დღეს, კომპანიას საშუალება აქვს არა მარტო რეაბილიტაცია გაუწიოს, არამედ თვითონ აწარმოოს ნებისმიერი სირთულისა და სიმძლავრის ატრაქციონები. მის განკარგულებაშია საწარმოო ქარხანა, სადაც ხდება საჭირო მონწილეობების დამზადება.

შ.პ.ს. „ტექნოკომპარკი“ თავისი მთავარი საქმიანობის გარდა გათავაზობთ, აგრეთვე, მის მიერ დამზადებულ მაღალი ხარისხის, დაზვენილი დიზაინის ელექტროფიცირებულ თანამედროვე სისტემებს; განმეორებისა და დაცვის სისტემებს, სამაცივრო სისტემებს, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ჩამომსხმელ ხაზებს მათი დაპროექტებით, მონტაჟით და ტექნიკური მომსახურებით.

მჭიდრო კავშირი აქვს უცხოურ მწარმოებელ პარტნიორებთან ერთობლივი პროდუქციის დამზადების საქმეში.





New Developments in Historical Kutaisi Park

The unique character of historical downtown Kutaisi with its bridges, plazas and gardens was based on high-quality urban development and precise scaling of residential and public zones. There was a time when it was decided to fully redesign the city, which gravely damaged its image and made it necessary to take some steps toward its regeneration. The idea to rehabilitate the historical center of Kutaisi and the subsequent project was gradually developed and refined by M Kvadrat Studio (project director – David Tsutskiridze) and several other architectural studios. Implementation of the project has already started, its first stage being restoration of historical Veriko Anjaparidze Garden (former Tsulukidze Garden) and B. Gabashvili Culture and Leisure Park with their connecting funicular. Naturally, the process also implies rehabilitation of architecturally important public constructions, located in the neigh-


borhood, but the construction part of this project needs to be further developed.

Construction of amusement parks is very important for development of country infrastructure. They foster patriotic, social and cognitive development of the younger generation. This is why multifunctional company TechnoComPark Ltd. was established in October 2007. Its founder Lasha Giorgobiani belongs to the rare category of people capable of realizing their childhood dreams and inspiring a team of specialists with their zeal and spirit.

The company has implemented a surprisingly time-tight project on installation of GWS wine and alcohol plant in 2000 and its subsequent technical servicing.

Years ago, shortly after his return from China where he had been successfully working for a lengthy period of time, Mr. Giorgobiani was offered a position of technical director in the newly-launched Mtatsminda Park project. He accepted this proposal with enthusiasm. Under his supervision, Mtatsminda Park was equipped with numerous up-to-date child, family, extreme and video attractions.

In this article we would like to focus on B. Gabashvili Culture and Leisure Park. The area has been broken into juvenile, sports and leisure zones and cultural centers. The Park is equipped with numerous modern attractions, fully transforming and animating the area. A special highlight of the park is a Ferris wheel with cost-efficient illumination and innovative construction. Spatial compositions formed by miniature squares, originally paved paths, unordinary design and bright coloring of merry-go-rounds and attractions are distinguished with original interaction of compositional masses and the space. In this case, unique living mass acts as a source of shape generation and space is a secondary element; together they form an environment with refined architectonics and a unique emotional "coloring".









ლასა გიორგობიანი. LASHA GIORGOBIANI

At the time being, TechnoComPark Ltd. represents a multi-profile company, participating in various specialized exhibitions and receiving proposals from different countries concerning setup of leisure attractions and technical servicing. The company maintains close relationship with European and Asian manufacturers of park attractions and relevant equipment, such as INTERLINK, VANEGDOM, I.E. PARK, FABRY GROUP, BERTASSON, TECHNIKALPARK MOSER ENTERTAINMENT, AILE PLAY, VISA, etc.

The company possesses sufficient experience for both rehabilitation and production of park attractions, disregarding their size or level of complexity. TechnoComPark operates a plant, producing all the necessary equipment.

Apart from its main activities, TechnoComPark Ltd. manufactures high quality electric systems, such as sound and security systems, refrigerators, alcohol and soft drink bottling plants and offers custom planning, setup and technical servicing. The company maintains close cooperation with foreign equipment manufacturers in terms of joint production.



მიკროსამუაროს სიმბოლური ველი





თანამედროვე არქიტექტურის, დიზაინის სტილისტიკა თავისი პარადოქსებითა და გამოცანებით გარკვეული დროის შემდეგ ხელოვნებათმცოდნეებს გაცილებით მეტ საფიქრალს გაუჩენს, ვიდრე კულტურის რომელიმე სხვა მოვლენა. იგი მხატვრული თავისუფლების კანონების გარდა, პრაქტიკულად არანაირ კანონს არ ემორჩილება, თითქოს სარგებლობს საერთო დაბნეულობით და მსუბუქად უონგლირებს ეპოქებითა თუ სტილებით. ჩვენ კი სიამოვნებით აღვიქვამთ ყოველ მორიგ ექსკლუზიურ წარმოდგენას ან მისი თანამონაწილე ვხდებით...

არქიტექტორების - მამუკა ზვიადაძის, ზაზა ცინცაძის და ზურაბ ლოლაშვილის ყოველი ახალი იდეის განხორციელებისას ჰარმონიული, ექსკლუზიური სივრცე იქმნება, სადაც სპონტანური, ღია სტრუქტურები, „საინტერესო“ გეომეტრიისა და სამშენებლო მასალის უჩვეულო კომბინირება არქიტექტურული კულტურის რეალური მდგომარეობაა, ანუ მათი არქიტექტურა, უფრო თანამედროვეობის კულტურულ ფენომენებთან ასოცირდება და არა არქიტექტურულ კანონებთან.

მრავალფეროვნება, ფორმალური არაერთგვაროვნება, სრულყოფილი ფორმების უმაღლესი ხარისხი განსაზღვრულ დამაჯერებელ ორგანიზმში ერთმანეთთანაა შერწყმული...

მოცულობათა ღირსება ცალკეულ შემთხვევაში, მათი გარემოსთან ურთიერთკავშირში მდგომარეობს. ნაგებობები კომპაქტურია – არქიტექტონიკის ძირითადი ჯგუფები ერთმანეთთან მოხერხებულადაა დაკავშირებული, ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩევა, ერთ მთლიანობაში აღიქმება და თავიდანვე იპყრობს ყურადღებას ვიზუალური სიმსუბუქითა და სილუეტის გრაფიკული სიზუსტით. შემოქმედებითად გააზრებულ მოცულობებში არქიტექტურული დეტალების კოლორიტი ყოველ ვერტიკალურ თუ ჰორიზონტალურ ჭრილშია გადათამაშებული და მიკროსამყაროს სიმბოლურ ველს ქმნის.



ბილი №31. 2009



თბილისის დიპლომატიური სოფელი
DIPLOMATIC VILLAGE, TBILISI

შენობათა ღია თუ დახურული სიბრტყეების დიდი მასების კონსტრუქციულ სიმსუბუქეს, მცირე ელემენტებიც იმეორებენ. ყურადღებას იპყრობს არქიტექტურული ფრაგმენტების დეკორატიული კომპოზიციები, ფორმა, ფერი და ა.შ. ყოველივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და სკულპტურული ხასიათის მატარებელია. გამოყენებულ მასალათა ფაქტურების ზედაპირებზე სინათლის ათინათი მოცუ-

ლობისთვის დამახასიათებელ გრაფიკულ იდეას, უფრო მეტად აქცენტირებს. ხაზები და პარალელები, დინამიკური სიმრუდეები მორიენტებულ მონახაზებსა და სილუეტებს ქმნიან. არქიტექტონიკული მელოდია, მისი რიტმის ცვლითა და შესაბამისი ნოტების რეგისტრის გაძლიერებითაა აგებული.

თავისუფალი სკულპტურული პლასტიკის თვითმყოფადი ენა, სინათლე, პროპორცია, მო-

ძრაობის გრაფიკა - აქ თითქოს არაფერია ზეზუნებრივი - უახლესი ტექნოლოგიები, ორიგინალური კონსტრუქციები, თანამედროვე მასალები და მაინც სივრცე, ყოველ მოცემულ შემთხვევაში ტექნოლოგიური სიახლეების საშუალებებით გამოგონილ თამაშებზე გაცილებით მნიშვნელოვანია.

ენიო ლაღიძე



ზიბინა გეგიძის სახლი საგურამოში
BIDZINA GEGIDZE'S HOUSE IN SAGURAMO



ზიძინა გეგიძის სახლი საგურამოში
BIDZINA GEGIDZE'S HOUSE IN SAGURAMO





სავაჭრო ცენტრი მარშალ გელოვანის გამზირზე
TRADE CENTER IN MARSHAL GELOVANI AVENUE, TBILISI

Symbolical Dimension of the Micro-cosmos




შოუ-რუმები ჭავჭავაძის გამზირზე
SHOWROOMS IN CHAVCHAVADZE AVENUE, TBILISI

Stylistics of modern architecture and design with their paradoxes and question marks will probably pose to art historians more challenges than any other sphere of culture. It does not follow any rules except the laws of creative freedom, handling epochs and styles with confusing ease and inviting ordinary people to relish this or that exclusive performance or become its immediate participants...

Each new idea implemented by architects Mamuka Zviadadze, Zaza Tsintsadze and Zurab Lolashvili results in a harmonious, exclusive space, expressing the current status of architectural culture through spontaneous, open structures, original geometry and unusual combinations of construction materials. In other words, their architecture is associated with the cultural phenom-

non of modernity rather than with architectural laws. The merit of this or that design, creating by these architects, lies in its relationship with the environment. Their buildings are compact due to ingenious interconnection of main architectonic groups. Original architectural composition integrates the design and draws attention to its visual lightness and graphical precision.



საოფისო შენობა
კეთევან წამებულის მოედანზე
OFFICE BUILDING
IN KETEVAN TSAMEBULI SQUARE, TBILISI






სავაჭრო ცენტრი მარშალ გელოვანის გამზირზე
TRADE CENTER IN MARSHAL GELOVANI AVENUE, TBILISI

Constructional lightness of larger masses is reiterated by minor architectural elements. Special attention should be paid to their decorative compositions, forms, colors, etc. Efficient positioning and distribution of details; glinting of sunlight on the textures of construction materials, varying patterns formed by lines and parallels merge into a harmonious design melody.

Unique language of free sculptural plasticity, light, proportion, graphics of movement – there is nothing supernatural in this, but combination of these features with advanced technologies, modern construction materials and smart spatial solutions results in original architectural designs, still more valuable if they are realized with ingenuity and spirit.


NINO LAGHIDZE



საცხოვრებელი სახლი ერისთავის ქუჩაზე
RESIDENTIAL HOUSE IN ERISTAVI STREET, TBILISI



საცხოვრებელი სახლი საბურთალოში
RESIDENTIAL HOUSE IN SABURTALO, TBILISI



სახლი ხარფუხში

თბილისის ისტორიულ უბანში, გრიშაშვილის ქუჩაზე, ახლახანს, არქიტექტორების - დიმიტრი მოსულიშვილის და კახა დეკანოიძის პროექტით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა. მისი არქიტექტურა ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩევა. შენობას, პრაქტიკულად, მთავარი ფასადი არ გააჩნია. მოცულობა,

სხვადასხვა გეომეტრიული, მობილური ფორმების შერწყმით, ერთ მთლიანობაში აღიქმება და თავისი ვიზუალური სიმსუბუქით და სილუეტის გრაფიკული დინამიკით, თავიდანვე იპყრობს ყურადღებას. შენობის არქიტექტონიკის ძირითადი ჯგუფები ერთმანეთთან მოხერხებულადაა დაკავშირებული. დიდი მასების კონსტრუქცი-

ულ სიმსუბუქეს, ექსტერიერის ცალკეული ელემენტებიც იმეორებენ. განხორციელებული პროექტის ღირსება, მისი გარემოსთან ურთიერთკავშირში მდგომარეობს. ნაგებობის მგრძობიარე გარსი და გარე სამყარო ერთმანეთს ურთიერთმონაცვლეობით აღიქვამენ.

ენიო ლალიძე



House in Kharbukhi District


Not long ago, a multi-apartment house was built in Grishashvili Street according to the project designed by architects Dimitri Mosulishvili and Kakha Dekanoidze. The house has a very original architecture. The volume, representing an integral combination of flexible geometrical forms, catches the eye with visual lightness and dynamic precision of its shapes. Main architectonic groups of the building are ingeniously linked with one another; constructional lightness of large masses is reiterated by minor elements of the exterior. Main value of this project is its unbroken interaction with the environment.

NINO LAGHIDZE





რეკონსტრუქცია ბამბის რიგში



რეკონსტრუქციამდე
BEFORE


სულ მალე ძველ თბილისში, ბამბის რიგის 8 ნომერში მდებარე განახლებული ისტორიული შენობის სახით, (მისი რეკონსტრუქციის პროცესი სრულდება), ქალაქს კიდევ ერთი, საინტერესო, მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ობიექტი შეემატება და ეს ულამაზესი ქუჩა კიდევ უფრო შთამბეჭდავი რაკურსებით დაიტვირთება.

თავად, რეკონსტრუქციის პროექტის ავტორი, არქიტექტორი გიორგი ხმალაძე საკმაოდ ობიექტურად აფასებს განხორციელებული პროექტის შედეგს.

გთავაზობთ მის კომენტარებს პროექტის შესახებ:

- რეკონსტრუქციის პროექტის პირველ ვარიანტის მიხედვით (რომელიც საბჭოზე ხანგრძლივი „ჭიდაობის“ შედეგად შეათანხმეს), შენობის უკანა, ვინრო ქუჩაზე გამავალი კედელი, შიდა სივრცის გახსნის მიზნით, მთლიანად შეიმინა. შენობა სამკუთხაა ფორმისაა გეგმაში, ამ კუთხეში კი იგი ძალიან ვინროვდებოდა, შესაბამისად შიდა სივრცეც იზღუდებოდა. არსებულ შენობას, საკმაოდ განიერი კედლები ჰქონდა და მიუხედავად შენობის ვიზუალურად მნიშვნელოვანი მოცულობისა მისი ერთი სართულის ფართი სულ 45 კვ.მ-ს შეადგენდა. შუშის კედლების გამოყენება ფართს 18 - 20 კვ. მეტრით ზრდიდა. გარდა ამისა, მოცემულ ვარიანტში, არსებულ შენობაში სართულების საკმაოდ დიდი სიმაღლის გამო, პირველ სართულის ნახევარი მეტრით ქვემოთ დაწვეთი დამატებითი - 30 კვ.მ ფართის მქონე სართული გაჩნდა, ისე, რომ შენობას სიმაღლეში არაფერი მომატებია. მეორე სართულზე კი ორსინათლიანი, სხვადასხვა, პატარა ღონისძიებებისათვის გათვლილი სივრცე წარმოიქმნა. საბოლოო ჯამში ვლუბულობდით არქიტექტურულად საინტერესო შენობას და სამივე სართულზე საერთო ფართით - 135 კვ.მ და ამ პროექტით, შენობის გარე პროპორციების შენარჩუნებით, შესაძლებელი იქნებოდა 225 კვ.მ ფართის მიღება. შენობაში ფუნქციები შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

- პირველ სართულზე - კაფე-ბარი;
- მეორე სართულზე (ორსინათლიანი სივრცე) - მრავალფუნქციური სივრცე ღონისძიებებისა და გამოფენებისათვის;
- ანტრესოლი იმავე სართულზე (დამატებით გაჩენილი ახალი სართული - ადმინისტრაცია);
- მესამე სართული (მანსარდა) - ლაუნჯი ბარი;
- სახურავზე (ტერასა) - საზაფხულო ღია კაფე.



პირველი ვარიანტი
FIRST PROJECT



მეორე პარინანტი

პროექტის დამკვეთი თავდაპირველად ჟურნალი „ანაბეჭდი“ იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ანაბეჭდი“ ველარ განვდა მშენებლობის ხარჯებს, შენობა „ცენტრ პოინტმა“ აიღო და პროექტი ფუნქციურად შეცვალა. მინის კედელი, მშენებლობის გაიაფების მიზნით, მათი დაჟინებული თხოვნის საფუძველზე (პროექტის შემსრულებლის გაფრთხილების მიუხედავად), ნაწილობრივ ყრუ კედლით შეიცვალა. მართლაც, საბოლოოდ, რეკონსტრუქცია გაცილებით მეტი დაჯდა. მშენებლობის იგივე ღირებულებაში კი დამატებითი 90 კვ.მ-ს ფართის ნაცვლად, მხოლოდ 30 კვ.მ დამატებითი ფართი და ვიზუალურად შედარებით მოკრძალებული შენობა მიიღეს.

თავად, მშენებლობის ხარისხი (დიდი ცდომილებებით) ძალიან დაბალია. იმედია, საბოლოოდ განვანებული კედელი ამ შეცდომებს გამოასწორებს.

არქიტექტორი გიორგი სმალაძე ამჟამად მილანში იმყოფება და ერთ-ერთ პრესტიჟურ არქიტექტურულ კომპანიაში პრაქტიკას გადის. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, მიგველო მისგან მოკლე ინფორმაცია, უცხოეთში, მისი ხანგრძლივი, შემოქმედებითად საინტერესო ვიზიტის შესახებ:

- პრეზიდენტის განვითარების ფონდმა, არქიტექტორებისთვის - შემდგომში უცხოურ არქიტექტურულ კომპანიებში პრაქტიკის გასაცვლელად, კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობის მსურველების საბუთების მიღების ბოლოს - წინა დღეს, სრულიად შემთხვევით გავიგე ეს ამბავი.

კონკურსანტების შერჩევა წარმოებდა ნამუშევრებით, შემდეგ იყო გასაუბრება...

უცხოეთში მგზავრობის, მოგზაურობის, ცხოვრების და სხვა ხარჯები მთლიანად ქართულმა მხარემ - პრეზიდენტის ფონდმა დააფინანსა.

პრაქტიკას, მილანის ერთ-ერთ იტალიურ არქიტექტურულ კომპანიაში გავდივარ, რომელიც საქართველოში, კერძოდ თბილისში განსასორცელებელ რამოდენიმე პროექტს ამუშავებს. ამჟამად 2 პროექტზე ვმუშაობ. მილანში ვიქნები მარტის ბოლომდე, შემდეგ დავბრუნდები თბილისში და სამ თვეში ისევ იქ გავემგზავრები - სამი თვით და ისევ მექნება შესაძლებლობა ვიმუშაო ცოდნისა და გამოცდილების გასაღრმავებლად.

6060 ლალიძე



მეორე პარინანტი
SECOND PROJECT





Mixed-use Building Reconstruction in Old Tbilisi

Reconstruction of a historical building in no. 8 Bambis Rigi St. is going to be finalized in the near future.

Architect Giorgi Khmaladze, author of the reconstruction project, has an unbiased opinion on its results. Below please find his comments on the project:

According to the first version of the project (which was approved after lengthy discussions), the back wall of the building, facing a narrow street, had to be fully glazed in order to open up the inner space. The walls of the triangular building visibly constricted the inner space at the acute angle. The outer walls were very wide and though the construction looked impressively large on the outside, the floor area on each level was not more than 45 sq. m., and installation of a fully glazed wall would provide 18-20 sq. m. more on each floor. Impressive ceiling height would allow us to lower the ground floor by half a meter and create an entresol on the first floor without increasing the height of the building. In the long run, our project would result in an interesting three-level construction, in which the initial area of 135 sq. m. would be increased to 225 sq. m. From the functional point of view, the building would be broken up into the following zones:

- Ground floor: café-bar
- First floor: exhibition area;
- First-floor entresol (the space released due to lowering the floor height): administration;
- Second floor (mansard) – lounge bar;
- Roof (terrace) – open-air café.

Second version of the project: initially, our client was Anabechdi Magazine, but as they found it impossible to cover the construction costs, the project was taken over by Center Point and its functional status underwent certain changes. The new client insisted on partially replacing the glazed wall with a blind wall, which, as they believed, would reduce the construction costs. Unfortunately, the expenses exceeded the initial calculation to reach the cost of the first version, and the project proved less beneficial: the floor area released to reconstruction is only 30 sq. m. instead of 90 sq. m., and the building looks less imposing.



Quality of the construction is rather low, with considerable deviations from the plan. Hopefully, the decorative plants will make these drawbacks less noticeable.

At the time being architect Giorgi Khmaladze is staying in Milan, taking an internship course in a prestigious architectural company. We had an opportunity to receive from him some information on his lengthy business trip abroad:



Presidential Development Foundation called a competition, enabling architects to take internship courses in foreign architectural studios. I heard about this competition just a day before the application submission deadline. Competition participants were shortlisted based on their projects and

personal interviews.

All the costs related to international travel, accommodation, etc. were covered by the Georgian side – Presidential Development Foundation.

I m taking an internship course with one of Italian architectural companies, which is based in Milan; this company is currently developing several projects to be realized in Tbilisi. I am now working on two projects. I will stay in Milan until the end of March 2009, then there will be a short break in Tbilisi and one more trip to Milan, where I will be able to spend another three months to enrich my knowledge and experience.

NINO LAGHIDZE



მეორე ვარიანტი
SECOND PROJECT



სავაჭრო ცენტრი



„დელისი“ დეველოპერული კომპანია „ნიბა ინვესტის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია

პროექტის მონაწილენი:

პროექტის მმართველი

პარტნიორი და ინვესტორი

პარტნიორი

არქიტექტორი

სამშენებლო კომპანია

მთავარი ინჟინერი

პროექტის მთავარი კონსტრუქტორი

პროექტის კონსტრუქტორი

უცხოელი ექსპერტები:

ფასადის კონსტრუქციები

სახანძრო უსაფრთხოების ექსპერტი

კომპანია შპს „ნიბა-ინვესტი

ს.ს/ საქართველოს „სახალხო ბანკი“

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

მასიმლიანო ფუქსასი

შპს „აქსმშენი“

კონსტანტინე ოდიშვილი

ვაჟა ედიკოშვილი

ლია ჯიმშელიაშვილი

პროფ. პეტერ ვან დერ თურნ ფრინტოვი

რუნ ვან დერ მათი

შენობის არქიტექტურასა და დიზაინზე ქართველ არქიტექტორებთან ერთად იმუშავა მსოფლიო მნიშვნელობის იტალიელმა არქიტექტორმა მასიმლიანო ფუქსასმა. მსოფლიოში ფუქსასი აღიარებულია როგორც არქიტექტურისა და ურბანისტიკის სფეროს ყველაზე ავტორიტეტული ექსპერტი.

მასიმლიანო ფუქსასი:

ჩვენი უმთავრესი მიზანია:

- დავაკმაყოფილოთ „ნიბა ინვესტის“ მოთხოვნა და დავაპროექტოთ შენობა, რომელსაც თბილისისთვის არაორდინარული არქიტექტურული და ისტორიული მნიშვნელობა ექნება. მან უნდა შექმნას ქალაქის საერთო რესურსი, რომელიც სარგებელს მოუტანს მთელს საზოგადოებას, და ამასთან ერთად, ქვეყნის მსოფლიო დონის კულტურულ ცენტრად იქცევა.

- შევქმნათ ქალაქის გრანდიოზული სავიზიტო ბარათი – შთამბეჭდავი და ელეგანტური ცათამბჯენი, რომელიც, როგორც ქვეყნის მდიდარი და სამაყო ისტორიის, ასევე XXI საუკუნის კულტურული ლიდერობის სიმბოლოდ იქცევა.

კოშკის დიზაინი ახალ სავაჭრო ცენტრს ქალაქის ცენტრის განახლების ერთგვარ კატალიზატორად გადააქცევს. მისი თანამედროვე არქიტექტურული ფორმები შორს გასცდება დამკვიდრებულ სტილისტურ ჩარჩოებს და ქართული ბუნებრივი ლანდშაფტის განუმეორებელი კონტურების ანარეკლად მოგვევლინება.

შენობის მრავალფუნქციურობა ქალაქის ენერჯიული საქმიანი ცენტრის წარმოქმნას შეუწყობს ხელს. ამგვარი ექსტრავაგანტული და სიცოცხლით აღსავსე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის შექმნით (რაც ჩვენს პროექტს თბილისის ყოველდღიური ცხოვრების ცენტრში მოაქცევს) და ისეთი ცათამბჯენის აშენებით, რომელიც თავისი ფორმისა და მდიდრულობის წყალობით მალე ქალაქის საერთაშორისო სავიზიტო ბარათად მოგვევლინება, ჩვენ ვგეგმავთ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოცემული შესაძლებლობა“.

კოვალენკო

სავაჭრო ცენტრი – მალღივი შენობა

ფუქსასის მიერ თავიდანვე საქართველოს დედაქალაქის პანორამის გასამდიდრებლად ვარგისი შემოქმედებითი გადაწყვეტის პოვნისკენ ლტოლვას ეფუძნებოდა.

კომპლექსი ორი ელემენტისგან შედგება. ესენია: კოშკი, რომელშიც ორანჟერეებით, დიდი თავისუფალი სივრცეებითა თუ ვერანდებით ურთიერთგამიჯნული ოფისები, საცხოვრებელი ბინები და სასტუმროები განთავსდება; და უფრო დაბალი შემინული შენობა რომელშიც მთავარი ჰოლი და მიწისქვეშა სავაჭრო ცენტრში შესასვლელი იქნება.

ამ ორ შენობას დააკავშირებს „დიდი შემინული სივარიელი“, რომელიც გააერთიანებს მთელს კომპლექსს. მას სავაჭრო ცენტრისა და მისი მომიჯნავე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის ატრიუმის ფუნქცია დაეკისრება. მასშტაბში იგი წარმოადგენს გამჭვირვალე, გამჭოლ სივრცეს, რომლის გავლითაც შენობა ქალაქს და ქალაქი – შენობას დაუკავშირდება.



მალივი შენობა

ახალი ორიენტირი

კოშკი „ნიბა ინვესტის“ მიერ წარმართული ქალაქის განაშენიანების პროცესის ნაწილია და მთელი მიმდებარე რაიონის აღორძინებას ისახავს მიზნად.

ცათამბჯენის კონფიგურაცია მთელი ლანდშაფტის მიმოხილვისა და, შესაბამისად, შემდგომი ზრდისთვის საჭირო ყოვლისმომცველ ხედს გვთავაზობს.

His volumetric compositions reveal a quest of architectural expression and harmony the whole with its constituent parts. Spatial and planning structure of his constructions, effects achieved by matching colors and material textures, adaptation of the buildings to the surrounding landscape are guarantees to successful architecture. David Kechkhuashvili creates the architectural image of his buildings based on modern composition and flexibility, synchronizing the unordinary forms with natural environment and accentuating their originality.

David Kechkhuashvili achieves uniformity of expressive means by varying major details of his compositions, at the same time retaining their independent artistic importance and unique emotional coloring.

When designing facades, the architect concentrates his attention on architectural and graphic finishing, trying to functionally justify the interrelation of forms and masses and highlight their decorative qualities.

Important role in the architect's practice is accorded to interior decoration. David Kechkhuashvili's design style is laconic, functionally and aesthetically coherent and compliant with the modern requirements.

Generally speaking, the architectural world created by David Kechkhuashvili is highly interesting and polysemantic. Its most remarkable feature is the synthesis of classical and modern architecture, revealing new creative meaning and new perspectives.

NINO LAGHIDZE



ოთხბინიანი საცხოვრებელი სახლი. ესკიზური პროექტი. კიბალჩიხის ხევი ავლაბარში
HOUSE WITH FOUR APARTMENTS. DRAFT PROJECT. KIBALCHICH KREEK, AVLABAR, TBILISI




ახალგაზრდულ-გასართობი ცენტრი. საკონსტრუქციო პროექტი. II პრემია. ბათუმი
YOUTH LEISURE CENTER. COMPETITION PROJECT. 2ND PRIZE. BATUMI



გაბროს შენობის პროექტი-წინადადება. მაკაბინი იდეაზეა აგებული
HOUSE WITH FOUR APARTMENTS. DRAFT PROJECT. KIBALCHICH KREEK, AVLABAR, TBILISI



ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. პროექტი. თბილისი
PROJECT OF A SINGLE-FAMILY HOUSE. TBILISI



ინდ. საცხ სახლი გრიშაშვილის ქუჩაზე
SINGLE-FAMILY HOUSE IN GRISHASHVILI STREET



ინდ. საცხ სახლი. SINGLE-FAMILY HOUSE

36 სართულიანი მრავალფუნქციური საცხ. სახლი საბურთალოს რაიონში
36-STORY MULTIFUNCTIONAL RESIDENTIAL HOUSE IN SABURTALO DISTRICT TBILISI





ეგოისტის დიზაინ-კოლაჟი

თანამედროვე ქალაქის მაღალტექნოლოგიური სტანდარტი აუცილებლად გულისხმობს დროის გამოწვევას. დღეს, მას სჭირდება არსებულ ფუნქციურ დატვირთვასა და ესტეტიკურ მოთხოვნებს მორგებული უახლესი ტექნოლოგიურ-არქიტექტურული ქსოვილით შეკრული, გარემო - თანამედროვე ინტერიერი, რომლის დიზაინი და ავტორის მიერ მასში წარმოქმნილი, თემატური სცენარით შექმნილი ატმოსფერო, რთული, შრომატევადი, შემოქმედებითი გზის შედეგია.

თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სივრცე - შოურუმი „ეგოსტი“ ვერის აღმართს, სულ ახლახანს მოეწვინა.

იგი, მხოლოდ კომფორტული იზოლირებული ობიექტი არაა, იგი ქალაქის ცენტრალური უბნის წამყვანი ელემენტია და თავისი თანამედროვე მენტალიტეტით ურთიერთქმედებს მთელს გარემოცვასთან - მომიჯნავე შენობების არქიტექტონიკულ ქარგასთან.

დიზაინერ ამირან პატარქალაშვილის (რომელიც არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში ერთ-ერთი ავტორიტეტული შემოქმედია) პროექტით შექმნილი მაღაზია-სალონის საზოგადოებრივი გარემო, მისი შემადგენელი მობილური ელემენტების ურთიერთპარამონიულობით, ერთი მთლიანი, ცოცხალი ორგანიზმია.

აქ, თანამედროვე არქიტექტურული ფორმები შორს სცდება დამკვიდრებულ სტილისტურ ჩარჩოებს - მათი მუდმივი სახეცვლა, „კომუნიკაბელურობა“ და გამჭვირვალობა, ინტერიერს ენერჯითა და ემოციებით ალავსებს. შიდა სივრცე გახსნილი და ნათელია. მასში შოპინგისთვის, ბიზნესის სამართავად იდეალური ატმოსფერო ისადგურებს. საერთო სარგებლობის შიდა სივრცეები ორგანულად ერწყმის ექსტერიერს. ეს სინთეზი აყალიბებს ქუჩის საერთო იერსახესაც და სიცოცხლით ალავსებს, ლამაზ მონაკვეთს ქმნის.

მაესტრო ამირანის ძიება, თავიდანვე სალონული სივრცის გასამდიდრებლად ვარგისი შემოქმედებითი გადაწყვეტის პოვნისკენ ლტოლვას ეფუძნებოდა - გადანწყვტისა, რომელიც, პირველ რიგში, „ეთიკურ“ ასპექტებზე დაყრდნობით, „საერთო ხელმისაწვდომობისა“ და „გამჭვირვალობის“ თვალსაზრისით ქალაქის ინფრასტრუქტურის „გადახალისებას“ განაპირობებს.



ავტორის დიზაინი გამოირჩევა მკვეთრი ხელნერით, სივრცე იზრდება უნიკალური კონფიგურაციის წყალობით წარმოქმნილი დონეების ტიპოლოგიათა განუმეორებლობითა და ავტონომიურობით. ინტერიერის თოთოეული ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური სიბრტყე თამამი, არაორდინალური დეკორაციაა, დიზაინერული კოლაჟია. ეს ეფექტი, მას, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ინდივიდუალურობას სძენს. მისი მონაკვეთების, ცალკეული დეკორატიული ელემენტების, აქსესუარების და ქანდაკებების უცხო სინქრონი, ბუნებრივი და ხელოვნური განათების სრულად ათვისებისა და სივრცეებში მაქსიმალურად მიმოხვევის საშუალებას იძლევა. ინტერიერის მთლიანობის შთაბეჭდილება ერთიანი კომპოზიციური გადაწყვეტით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მოტივებით ერთი სიბრტყიდან მეორეზე ფერის გადათამაშებით, მოცულობით-პლასტიკური გადაწყვეტებით, ხაზების, ფერის და ფიგურების დიალოგებითა და დიზაინერული რეფერენებითაა მიღწეული.

დიზაინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორ ავლნიშნეთ, წარმოადგენს სკულპტურული ფიგურები. მათი ავტორი, ახალგაზრდა მოქანდაკე შოთა კურცხალია გახლავთ.

... განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი შენობის მაქსიმალური გამჭვირვალობაა, რაც სხვაგვარ, მისტიკურ სამყაროს ქმნის. „ჰორიზონტი“ „ეგოსტი“ მუდამ სახეს იცვლის იმისდა მიხედვით, ზემოთ მიემართებით, თუ - ქვემოთ.



ესაა გარემო, სადაც ყოფნისას მისი სამყაროს ნაწილად აღიქვამ თავს. ზოგან გამჭვირვალობა განსაკუთრებულ ქვეტექსტს წარმოშობს, რაც სივრცესთან ურთიერთქმედებისას ადამიანის მიერ მისი არსის აღქმასა და მასთან შერწყმასაც გულისხმობს.

ნინო ლალიძე
ფოტო: გურამ ნიბახაშვილი და
www.nakanimamasakhli.ge













ამირან პატარკალაშვილი
AMIRAN PATARKALASHVILI

Modern urban environment invariably challenges the time. Present-day public spaces are inconceivable without a hi-tech "lining", combining functionality with advanced technologies and aesthetic qualities, resulting from complex creative work.

Not long ago, a new entry – Egoiste Showroom – appeared on the list of important public spaces existing in our city.



The showroom, located in Vere district of Tbilisi is not just a comfortable interior, but a landmark, introducing modern interaction principles into its immediate architectural setting.

Public space of the showroom, designed by Amiran Patarkalashvili, is an integral structure, living a life of its own and consisting of harmoniously matched mobile elements.

Advanced architectural forms of the design far exceed the established stylistic borders – their constant transformation, "ability to communicate" and transparency fill the interior with energy and emotion. The place is an ideal setting for shopping and business. Publicly accessible parts of the showroom are seamlessly merged with the exterior. This synthesis affects the street setting, adding life and originality to this part of the district.

From the very beginning, the designer's goal was to transform urban infrastructure by accentuating such traditional qualities of showroom space as public access and transparency.

Amiran Patarkalashvili's design is bold and original, expanding the limited space due to the autonomous topology of originally configured floor levels. Each horizontal and vertical plane of the interior is an ingen-



შოთა კურტსხალია
SHOTA KURTSKHALIA

Egoist's Design Collage

ious decoration, a design collage. Individual quality of the interior is further highlighted by unusual harmony of its constituent parts, decorative elements and accessories, efficient application of daylight and artificial lighting, integral design composition, soft transitions of colors and dialogues of lines and figures.


Key components of the design are sculptures, created by young sculptor Shota Kurtskhalia.

...And the most important feature of the showroom is its remarkably high transparency, which adds a mystical tinge to the interior and making the outside world look surprisingly ambiguous depending on how you move inside this space.

NINO LAGHIDZE
PHOTOS BY GURAM TSIBAKHASHVILI AND
WWW.NAKANIMAMISAKHLISI.GE



WWW.NAKANIMAMISAKHLISI.GE





„პრაიმკლას CIP“ * ლაუნჯი



თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გაფრენის დარბაზში განთავსებული „პრაიმკლას CIP“ * ლაუნჯის შიდა ინტერიერის თავდაპირველი დიზაინი ეკუთვნის თურქულ არქიტექტორულ-დიზაინერულ ფირმა AGS Architecture. ხოლო ინტერიერის დღევანდელი სახით შექმნაში მონაწილეობა მიიღო „Primeclass“ CIP სამსახურის უფროსმა მაია გილაშვილმა. ქ-მა მაიამ ინტერიერის დიზაინი ხელოვნების ნიმუშებით გააფორმა და ინტერიერსაც უფრო მყუდრო, უფრო განტვირთვის ატმოსფერო შემატა.

მოგეხსენებათ გაფრენის და მით უმეტეს ხანგძლივი ფრენის წინ მგზავრისთვის სასიამოვნო ატმოსფეროში ცოტაოდენი განტვირთვა და მოსვენება მეტად მნიშვნელოვანია. თბილისის აეროპორტის „Primeclass“ CIP თავისი განუმეორებელი ინტერიერით ამის წინაპირობას ნამდვილად იძლევა.








Primeclass CIP * Lounge

Initial design of Primeclass CIP * Lounge in the departures hall of Tbilisi International Airport belongs to Turkish architectural and design company AGS Architecture. The space was recently refurbished with participation of Primeclass CIP service manager Maia Gilashvili. Ms. Gilashvili decorated the interior with artistic objects to make the space more comfortable and relaxing.

Understandably enough, a traveler getting ready for a departure and a lengthy flight needs some rest in a pleasant atmosphere, and Primeclass CIP of Tbilisi airport with its unique interior is up to the mark in providing this opportunity.





პრეზენტაცია

12 დეკემბერს აქსისი საზეიმო ვითარებაში გახსნის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ გაყიდვებისა და მომსახურების ახალ ოფისს, რომელიც განლაგდება ყაზბეგის გამზირზე, ამავე კომპანიის მიერ დაპროექტებულ და აშენებულ მრავალფუნქციურ კომპლექსში.

ოფისი აერთიანებს ე.წ. გალერეა-შოურუმს. ის როგორც გარედან, ასევე შიდა ტიხრებით მინისაგან შედგება, რაც ქმნის უზრმაზარ გამჭვირვალე სივრცეს, სადაც თვლნათლივ არის წარმოდგენილი აქსისის ყველა მიმდინარე პროექტი. აქვე შესაძლებელი იქნება ნებისმიერი კონსულტაციის მიღება და ბინის შექმნა.

გალერეა-შოურუმის პრეზენტაციის ფარგლებში კომპანია „აქსისი“ საზოგადოებას ასევე წარუდგინა ორი ახალი პროექტი – „ოფის ცენტრი აქსის პალასი“ და „სავაჭრო ცენტრი ყაზბეგის გამზირზე“ და ასევე საზოგადოებას შესთავაზა გაყიდვებისა და მომსახურების ახალ, უფრო მოქნილი პირობები.

„ოფის ცენტრი აქსის პალასი“ - არის 10 000 კვ.მ. საერთო ფართის 4 კლასის ბიზნეს-სივრცე, რომლის გაქირავება 2009 წლის გაზაფხულზე დაიწყება. ამ დროისთვის ეს იქნება ყველაზე დიდი ოფის-ცენტრი საქართველოში.

„სავაჭრო ცენტრი ყაზბეგის გამზირზე“ – სავაჭრო ცენტრის სასარგებლო ფართი 5000 კვ.მ.-ია, მისი მდებარეობა და მისადგომობა საკმაოდ მიმზიდველს ხდის აღნიშნულ სივრცეს ქართველი და უცხოელი რითიელიერებისთვის. (სავაჭრო ცენტრი განთავსებულია მრავალფუნქციურ კომპლექსში, რომლის მშენებლობაც დასრულდა მიმდინარე წელს).

აქსისის გენერალური დირექტორი გირგი კაპანაძე: „მომსახურებისა და გაყიდვების ახალ ოფისთან ერთად მომხმარებელს აქსისი ამ ახალ წელს სთავაზობს ახალ, უფრო მოქნილ პირობებს ასევე უკვე აშენებულ 50 ბინას. გარდა ამისა ჩვენ გვაქვს რამოდენიმე სიახლე, რასაც საზეიმო ვითარებაში გავაცნობთ დამსწრე საზოგადოებას.“

პრეზენტაციაზე მონაწილეები იყვნენ ყველაზე მაღალი რანგის სტუმრები. მათ შორის, როგორც პოლიტიკური და ბიზნეს სფეროს წარმომადგენლები, ასევე კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები.

Presentation

On December 12 2008 Axis launched a new sales and services office located in Kazbegi Avenue, in a multifunctional complex designed and built by the company.

The new sales and services office incorporates a showroom with glass walls and inner partitions, creating an impression of vast expanse. The office offers consumers visualization of all current Axis projects as well as comprehensive consulting and sales services.


Parallel to launching a showroom, Axis presented to the public two new projects – “Office Centre Axis Palace” and “Trade Centre in Kazbegi Avenue” and introduced updated, more flexible system of sales and client servicing.

“Office Centre Axis Palace” is a 10000 sq. m. A-Class business space, which will be released for rent in spring 2009. By that time “Office Centre Axis Palace” will be the largest business-centre in Georgia.

“Trade Centre in Kazbegi Avenue” with the total net area reaching 5000 sq. m., convenient location and good accessibility, is rather attractive for Georgian and foreign realtors (the trade centre is located in multifunctional complex, construction of which was finalized in 2008).

According to general director of Axis Giorgi Kapanadze, “Together with the new sales and services office, in 2009 Axis will offer its clients updated, more flexible sales conditions, 50 finished apartments and several other novelties.”

The presentation was attended by high-ranking guests, including prominent representatives of political, business and cultural circles.



აქსისის ახალი ოფისი

კომპანია აქსისის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი გაყიდვებისა და მომსახურების ახალი ოფისი, ამავე კომპანიის მიერ დაპროექტებულ და აშენებულ მრავალფუნქციურ კომპლექსშია განთავსებული ყაზბეგის გამზირზე.

ოფისი აერთიანებს ე.წ. გალერეა-შოურუმს. ის როგორც გარედან, ასევე შიდა ტიხრებით მინისაგან შედგება, რაც ქმნის უზრმაზარ გამჭვირვალე სივრცეს.

პროექტის ღირსება – მისი სივრცის გარემოსთან ურთიერთკავშირში მდგომარეობს. ნაგებობა კომპაქტურია – არქიტექტონიკის ძირითადი ჯგუფები ერთმანეთთან მოხერხებულადაა დაკავშირებული. მისი არქიტექტურა ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩევა და ერთ მთლიანობაში აღიქმება. სხვადასხვა გეომეტრიული, მობილური ფორმების შეწყობით, შენობის მოცულობა დინამიურია. იგი თავიდანვე იპყრობს ყურადღებას ვიზუალური სიმსუბუქითა და სილუეტის გრაფიკული სიზუსტით. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ის, რომ შემოქმედებითად გააზრებულ მოცულობაში არქიტექტურული დეტალების კოლორიტი ყოველ ვერტიკალურ თუ ჰორიზონტალურ ჭრილშია გადათამაშებული და მიკროსამყაროს სიმბოლურ ველს ქმნის.

ინტერიერის ატმოსფერო უხვად შემინული სიბრტყეებიდან შემოჭრილი სინათლითა და ჰაერიითაა სავსე და თავისუფალია.





შემინული სიბრტყეები ზრდის საცხოვრებლის საზღვრებს და მათი მცდელობა მოაქციონ იგი ხისტ, თუნდაც გამჭვირვალე ჩარჩოებში –ამაოა. დიდი მასების კონსტრუქციულ სიმსუბუქეს დიზაინის ელემენტებიც იმეორებენ. ინტერიერში ყურადღებას იპყრობს არქიტექტურული ფრაგმენტების დეკორატიული კომპოზიციები, სხვადასხვა აქსესუარების ფორმა, ფერი და ა.შ. გამჭვირვალეობას და სიმსუბუქეს, ორიგინალური კოლორისტული გადაწყვეტა უდევს საფუძვლად. მთლიანი პალიტრა ოპტიმალურ ფონს უქმნის ნებისმიერ სივრცეს, გამოკვეთს მის მოცულობას. ეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - ინტერიერში ყოველივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და სკულპტურული ხასიათის მატარებელია. გამოყენებულ მასალათა ფაქტურების ზედაპირებზე სინათლის ათინათი ინტერიერისათვის დამახასიათებელ გრაფიკულ იდეას, უფრო მეტად აქცენტირებს. საერთო გამჭვირვალეობაში შეჭრილი ხაზები და პარალელები, დინამიკური სიმრუდეები მაორიენტირებელ მონახაზებსა და სილუეტებს ქმნიან. დიზაინერული მელოდია, მისი რითმის ცვლითა და შესაბამისი ნოტების რეგისტრის გაძლიერებითაა აგებული. მასში მთლიანი სივრცის თავისუფლების მზარდი ხარისხის გამოყენებით კომფორტული და მშვიდი საქმიანი გარემო იქმნება.

ენო ლალიძე



Axis's New Office



Axis's new sales and services office, abounding in hi-tech equipment, has been recently launched in the multifunctional complex designed and built by Axis in Kazbegi Avenue.

The office incorporates a gallery / showroom. Outer walls and inner partitions of this space are fully glazed and form an impression of expanse and transparency.




Key attraction of this project is quality of its interaction with the surrounding world. The building is compact – architectonic groups are ingeniously and flexibly linked with one another to form an original, inte-

gral architectural composition, surprising the onlookers with visual lightness and graphical precision of its shapes. Still another important factor is that all architectural advantages of this creatively conceived volume peculiarity have been efficiently used to highlight the symbolical dimension of this small world.

Free-flowing interior is saturated with sunlight and air, coming through lavishly glazed surfaces. Glazed walls visually increase the office area, failing to contain the space within stationary, though transparent frames. Constructional lightness of large masses is reiterated by design elements. The interior is filled with eye-catching decorative compositions of architectural fragments,

shapes of accessories, colors, etc. Impression of transparency and lightness is strengthened by an original color solution, creating an efficient background to any object. Graphical precision of interior design is further highlighted by shimmering of sunlight on textures of facing and upholstery materials. Lines, parallels and dynamic curves, interrupting the general transparency, trace orientating patterns and silhouettes. The design melody with its changeable rhythm and highlight tones forms an uninhibited, comfortable and creative business environment.

NINO LAGHIDZE



დემოკრატიული სტილი


ტოტალიზატორი სპორტის და აზარტული სიამოვნების მოყვარულებისათვის შესვენებისა და ურთიერთობის ტრადიციული და ყველაზე საყვარელი ადგილია. აქ თავს იყრიან გულშემმატკივრები თავიანთი საყვარელი გუნდების მხარდასაჭერად და თვალყურს ადევნებენ მსოფლიოს სტადიონებსა თუ სპორტულ არენებზე მიმდინარე შეჯიბრებების პირდაპირ ტრანსლაციებს, უზარმაზარი ტელევიზორების ეკრანებთან მოხერხებულად მოკალათებულნი.

სპორტის სასახლესთან გახსნილი ახალი ტოტა-

ლიზატორის „აჯარა ბეთის“ გარემო, სივრცე და ინტერიერი, რომლის ავტორები - ელენე და ზაზა ციციშვილები არიან, მთლიანად არღვევს ამგვარი დაწესებულებებისათვის დამახასიათებელ სტანდარტულ გეგმარებით სტერეოტიპებს და დიზაინერული გადაწყვეტების დინამიკით გამოირჩევა. მისი, უჩვეულოდ ღია ინტერიერული სივრცე გარეთ, ქუჩაზე იხნება და სასიამოვნო დისონანსის მქონე მოულოდნელობებს დეკლარირებს. საზის ლავირება და ფერიითი გამა იდეალურად ერწყმის ერთმანეთს. კოლონების ბალახისფერ ფაქტურას, მნახველი, რეალური

დროის რეჟიმში გადაყავს. ნათელი, მსუბუქი დიზაინერული პალიტრა - შეკიდული ქერის „ჰაი-ტექი“, კომფორტული ტერასა, „მინიმალისტური“ ფურნიტურა და მთლიანად - სპორტული თემატიკით გაჯერებული გარემო, კომფორტულ ატმოსფეროს ქმნის. ტოტალიზატორის დემოკრატიული სტილი ნებისმიერი ასაკის ადამიანის ყურადღებას იპყრობს და სტუმარი - სპორტულ სამოსში იქნება იგი გამოწყობილი თუ კლასიკურში - შესანიშნავად იგრძნობს თავს, ამ თბილ, ნათელ გარემოში.

ნინო ლაღიძე



Democratic Style




Totalizators are a traditional meeting place where sports amateurs and gamblers can support their favorite teams and excitedly watch a wide range of competitions played at the different venues all over the world.

The interior of new totalizator "AjaraBet", designed by Elene and Zaza Tsitsishvili, breaks all the stereotypes associated with such establishments and offers flexible and innovative design solutions. The first feature manifesting unexpected turn of the designers' imagination is the surprising transparency and open-

ness of AjaraBet interior. Delicate lines and colors of this space are ideally matched to each other, pacifying the emotions and reminding about reality. Light and unobtrusive design palette - suspended "hi-tech" ceiling, comfortable terrace, minimalist furniture, merge into a comfortable sporting environment. Democratic atmosphere of the totalizator attracts visitors of any age and lifestyle, making them feel at home in this warm and light place.

NINO LAGHIDZE







Pierrot le Feu




წარმოდგენილი ინტერიერის, შოურუმის - „პიეროტ ლე ფო“ სტილის პლასტიურ სახეში ნაცნობი, თითქოსდა შეუთავსებელი პროტოტიპები გამოიყენება - მოდერნი და ავანგარდი, ფუნქციონალიზმი და დეკორატივიზმი, მაგრამ არა - პოპ დიზაინი აერთიანებს მათ თავის შემოქმედებით „სამზარეულოში“, შედეგად იღებს სავსებით მხატვრულ - პროდუქტს, საბოლოოდ კი საუკეთესო ინტერიერს.






ეს რასაკვირველია პროფესიონალური კალედოსკოპია, მაგრამ ახლებურად, ვირტუოზულად გამოიყურება და უკვე არსებულთან თავისი არამსგავსებით, არტ-გურმანების წარმოსახვას იპყრობს. საქმე იმაშია, რომ ელენე ციციშვილის დიზაინი - ავანტიურისტული ეკლექტიკაა, რომელიც მეტად საინტერესო ინტერიერში სავსებით წარმოუდგენელი „მდეღვარე“ იმიჯების მოდელირების საშუალებას იძლევა - ზღვის სანაპირო, ზღვის ხმა, სარკეებიანი სასახლე, განძეულობს გამოქვაბული, რომანტიკული ოაზისი...





Pierrot le Fou

Flexible image of Pierrot le Fou showroom evokes associations with very familiar but seemingly controversial prototypes – modernism and avant-garde, functionalism and decorativism (without any trace of pop design, though), brought together in one melting pot to produce a highly artistic, refined interior. This commonly professional kaleidoscope looks surprisingly innovative and ingenious, heating the imagination of art gourmands with its difference from all they know and are used to. The point is that Elene Tsitsishvili's design is based on opportunist eclectics, which enables her to fill an interesting but ordinary interior with impossibly thrilling images of seashore, surf, mirror castle, treasure cave, romantic oasis...





DIRK BIKKEMBERGS

თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე მდებარე შოუ-რუმის, DIRK BIKKEMBERGS-ს ინტერიერი თვითმყოფადია - აბსოლუტურად განსხვავებული სტილისტიკით გამოირჩევა. არაორდინალური ანტურაჟი საგნობრივ გარემოს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს. ინტერიერის ელემენტურობა დახვეწილ დეკორში ვლინდება, შესაბამისად ავტორთა - ნატა ჯანბერიძისა და ქეთი თოლორაიას (დიზაინერული კომპანია ROOMS) პროფესიონალიზმი ყოველ ფრაგმენტში შეიგრძნობა.

სივრცის სწორად ორგანიზაცია, ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, მოცემულ სათავსოთა საერთო სტილისტურ გადანწყვეტასთან შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული აქსესუარები ... უზაადო დიზაინი, საერთო იდეითა და თემით გამთლიანებულ, ჰარმონიულ ინტერიერულ სახეს ქმნის. მასში დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი, გათვალისწინებულია ბრენდის ინდივიდუალურობა და დიზაინერებმაც,




მოცემულ შემთხვევაში, ამოცანა, ყოველივეს შესაბამისად გადაწყვიტეს.

შოუ-რუმი წარმოგიდგენს მსოფლიო პრემიუმ ბრენდის - DIRK BIKKEMBERS-ის მიერ წარმოებულ პროდუქციას - ულამაზეს ტანსაცმელს; სხვადასხვა ძვირადღირებული მასალისგან შექმნილ აქსესუარებს თუ პირადი მოხმარების ნივთებს.

ნინო ლალია

ფოტო: ნათია კალანდარიშვილი





The interior of DIRK BIKKEMBERGS showroom, located in Zandukeli Street, Tbilisi, possesses an original, absolutely unique atmosphere. Elegance of the interior shows itself in refined decor, designed by Nata Janberidze and Kate Toloraia (design company ROOMS).


Efficient space organization, harmoniously matched colors and design materials, skillfully planned lighting, suitable furniture and tastefully picked accessories form an ingenious and integral interior. Every detail of the design is carefully calculated, considering specificity of the brand and purpose of the place.

The showroom features the products of premium international brand DIRK BIKKEMBERGS: fine clothes, accessories and other items produced from luxury materials.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY NATIA KALANDARISHVILI



DIRK BIKKEMBERGS





კომფორტი კომერციულ სივრცეში

საზოგადოებრივ გარემოში, კერძოდ სასტუმროში, მისი ინტერიერის განწყვეტისას, რომელიმე სტილისათვის უპირატესობის მიცემით, ხანგრძლივი დროით შეირჩევა განსაზღვრული ატმოსფერო - „ცხოვრების წესი“. აქ გამეფებული სტილი, კი თავად ზემოქმედებს მის „მოზინადრეობაზე“.


წარმოდგენილი სასტუმროს „დ პლაზას“ ინტერიერის ავტორი, ახალგაზრდა დიზაინერი, ალექსანდრე ზერცალოვია. მოდური, ფოურ-სტარ ტიპის სასტუმრო თბილისის კომერციულ ცენტრშია განთავსებული. მისი მდიდრული აკომოდაცია, საუცხოო ადგილმდებარეობა, სასურველ გარემოს ქმნის, როგორც ბიზნესმენებისთვის, ასევე ქალაქის სტუმრებისათვის.


ავტორმა, საკუთარ პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, მკაფიო არქიტექტურული გრაფიკით, ფუნქციურის ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით და ფერიით კონტრასტებით, თანამედროვე დახვეწილი ინტერიერი შექმნა. ავეჯი და დეკორატიული ნივთები გემოვნებითაა შერჩეული. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს მასში ფერის სიღრმეს და ინტენსიობას.

საზოგადოებრივ სივრცეში წარმოქმნილ მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, მასში სიმსუბუქე შეაქვს და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნის. სტილისტურ მთლიანობაში, სივრცის თითოეული მონაკვეთის ინდივიდუალურობა, ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება. მათი კონტრასტულობა ინტერიერში უწონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება..

სასტუმროში, რომელიც სულ ახლახანს გაიხსნა, მხოლოდ მისთვის აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი სუფევს. ინტერიერული გარემო კი მისი სტუმრების გემოვნების, სოციალური მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშეხსნაა.

ნინო ლალიძე





Comfort in Creative Interior

When designing interior of a public place, e.g. a hotel, with an accentuated stylistic trend, one creates a definite atmosphere, which will remain unchanged for many years to come, influencing a lifestyle of its inhabitants.


Interior of D Plaza Hotel was created by young designer Alexander Zertsalov. This fashionable four-star hotel is situated in a commercial center of Tbilisi; efficient location and luxurious accommodation make it a favorite visiting place for the businessmen and travelers.

Based on his professional experience, the author designed a refined modern interior with streamlined architectural graphics and original mosaic of shapes and volumes. The furniture and accessories have been matched with flawless taste. A wide range of constructional and decorative elements visually increases the interior, intensifies the shapes and depth of colors.

Unexpected design strokes add lightness to this public space and highlight its comfortable planning. Various parts of the interior are markedly individual and functional, though not falling out of the general stylistic theme; zone-to-zone contrasts cause a feeling of weightlessness and freedom, further strengthened by decorative elements.

The newly-launched hotel is saturated with an atmosphere of warmth and serenity, offering the guests a material expression of taste and comfort.

NINO LAGHIDZE





დედაქალაქში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მეორემეტე კოლომეტრზე, სულ ახლახანს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობა და მისი ინტერიერი განახლდა. პროექტის ავტორები - „დიზაინერები“ - იუსტიციის საბჭოს მდივანი ვალერი ცერცვაძე და საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი შავლიაშვილი არიან. საზოგადოებრივი სივრცის ინტერიერის მოცულობითი გადანაწევება გამოყენებული გამოხატულებითი საშუალებებით შეკრული, პლასტიური და მასშტაბურია. მას აბსოლუტურად განსაზღვრული ფუნქცია აკისრია. ორიგინალური დეტალებისა და ლაკონური ფერითი ჩანარების გამოყენება, ავტორთა დახვეწილ გემოვნებაზე მიუთითებს. ორ დონეზე განთავსებული დაწესებულების ერთიანი კომპოზიცია კომფორტულ და რაფინირებულ ვრცელ გარემოს ქმნის.

სისადავე და მონუმენტურობა, ტრადიციული ფორ-

მები და მკაცრი დეკორი, თავისუფლება და პარადულობა, როგორც ჩანს ავტორთა კონცეპტუალური კრედოა. მათი ძალისხმევით წინა პლანზეა წამოწეული „გამომხატველობითი არქიტექტურული ფიგურის“ კონცეპცია.

ინტერიერის კომპოზიციურ გადანაწევებაში დომინირებად ელემენტს დიდი, სვეტებიანი, ორსინათლიანი ფოიე და შიდა კიბე წარმოადგენს. მეტად საინტერესოა ამ მოცულობითი მონაკვეთის ჭერის კონფიგურაცია. ანტრესოლიდან მიკროგარემო სხვადასხვა ემოციური დატვირთვით აღიქმება. მოცემულ შემთხვევაში ესთეტიკა იმდენად შეესაბამება პრაგმატიზმს, რომ რომელიმე მათგანის უპირატესობის განსაზღვრა შეუძლებელია.

ინტერიერში ტრადიციები თანამედროვე მენტალიტეტითაა ადაპტირებული, კლასიკური სტილის ესთეტიკას პასუხობს და სასამართლო სისტემას შეე-

საბამება. ინტერიერის დასრულებული სახით ჩამოყალიბებისას თითოეულ დეტალსა და ნიუანსს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა - მოაჯირის მასივებს შორის მოქცეული ლითონის ორნამენტები, ხის პანელების დიზაინი კედლებზე, ვიტრაჟები, ზურაბ წერეთლის დახვეწილი ფერითი გამა და სხვა მრავალი.

პროექტის განსაკუთრებულობა იმაშია, რომ სივრცე სხვადასხვა ფუნქციურ ჯგუფებად იყოფა, თუმცა ეს დეკორში არ ვლინდება და ყოველი ინტერიერული მონაკვეთი ერთიანად წარმომადგენლობითია. შემოქმედებითმა თავისუფლებამ შესაძლებელი გახადა მიღწეულიყო სტილისტური მთლიანობა და მისი სრული შესაბამისობა შენობის „ცხოვრების“ წესთან.

ინსო ლალიძე
ფოტო: Photolife ჯგუფი

ესთეტიკა და პრაგმატიზმი



Aesthetics and Pragmatism

Renovation of Tbilisi City Court building was recently finished in David Agmashenebeli Alley. Project authors – “designers” – are Valeri Tsertsvadze, secretary of Juridical Board, and Giorgi Shavliashvili, chairman of City Court. Spatial solution of this public interior is integral, flexible and massive; use of original architectural details and restrained color accents manifests the refined taste of the authors and highlights the specific function of the establishment. Coherent composition of two-level the space forms a refined and comfortable environment.


The authors' conceptual credo is revealed in simple and imposing forms, austere décor, combination of freedom with formality. Their efforts have brought to the fore the concept of expressive architectural form.


The dominating element of interior composition is a large entrance hall with columns and a staircase; equally interesting is configuration of the ceiling, diversifying emotional coloring of the hall. In this case, aesthetics is so well subjected to pragmatism that one would have difficulty attributing primary importance to any of them.

The authors have adapted traditions to modern mentality, at the same time following the aesthetic canons of classical style and making the design relevant to the juridical system. Each detail has been carefully considered in development of this interior: metal ornaments under the massive railings, design of wood panels on the walls, stained glass, light fixtures designed by Zurab Tsereteli, refined choice of colors, etc.

Special feature of this project is that the space is divided into several functional groups without disrupting the integrity of décor, so that every part of interior looks equally imposing. Creative freedom made it possible to retain the unity of style, fully corresponding to the “lifestyle” of the building.

NINO LAGHIDZE
FOTO BY PHOTOLIFE GROUP





დიპლომატი სოლოლაკში


დიზაინი: მარინა ნათლიაშვილი

ლამაზი, პატარა და მყუდრო სასტუმრო “დიპლომატი” სოლოლაკში, თბილისის ცენტრალურ, უძველეს უბანში მდებარეობს, რაც მისგან მოკლე მანძილებით დაშორებული ისტორიული ადგილების მოსანახულების შესაძლებლობას იძლევა.

სასტუმრო მორსართულიანია, მისი მშვიდი არქიტექტონიკა, სასიმოვნო აურას ქმნის. სასტუმროს ინტერიერი, ვრცელია, თუმცა მყუდროა და თავისებურად ეკლექტიკური. მისი ფურნიტურა - ტყავის რბილი დივან-სავარძლები, გობელენები, მენამური ფარდები, საათების კომპოზიცია კედლებზე, დეკორატიული გამწვანება თუ სხვა დიზაინერული ელემენტები ერთგვარ კომფორტს გვიქმნის.

ჰოლიდან მარმარილოს კიბეებით მეორე სართულზე ავდივართ, სადაც კომფორტული, გემოვნებით მოწყობილი ოთახებია განლაგებული. თითოეული ნომრიდან საუცხოო პეიზაჟი გვეშლებათ თვალწინ. ყოველი მათგანი საინტერესო დიზაინით და თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით გამოირჩევა. სასტუმროს რესტორანში, რომელიც პირველ სართულზე მდებარეობს, უგემრიელესი ქართულ-ევროპული კერძების მრავალფეროვანი არჩევანია. ყოველივეს ფონზე კი, ლამაზი, თბილი გარემო თქვენს აქსტუმრობას სასიამოვნოს, რომანტიკულს და დასამახსოვრებელს ხდის.

ნინო ლალიძე



Diplomat in Sololaki

Design by Marina Nattiasvili

Neat and comfortable hotel Diplomat is situated in Sololaki, an old district in downtown Tbilisi. This convenient location enables hotel guests to visit historical sightseeing spots, scattered in the neighborhood of the hotel. The hotel is a two-level construction with refrained

architectonics and a pleasant aura. Hotel lobby is spacious but comfortable and somewhat eclectic. Its furniture and decorations – leather couches and armchairs, tapestries, crimson curtains, a collection of clocks on the walls, decorative plants and other design elements merge into a uniquely peaceful atmosphere.

A marble staircase leads from the hall into the first

floor with comfortable, tastefully furnished bedrooms. All rooms offer fine views of the city, interesting design and up-to-date equipment. Hotel restaurant, located in the ground floor, boasts a diverse menu with a large choice of Georgian and European dishes. Cozy and welcoming atmosphere makes a stay in this hotel pleasant and unforgettable.





ლონდონ პაბი

დიზაინის ავტორი - ბაჩო ხაჩიძე

ქველ თბილისში, ბამბის რიგში, ქართველი ახალგაზრდების ჯგუფმა კიდევ ერთი ლონდონური პაბი შექმნა, რომელიც ადრეულზე (თქვენ შესაძლებლობა გქონდათ ყურნალი „სტილის“ 27-ე ნომერში გასცნობოდიოთ მას), გაცილებით უკეთესია და თავისი „აურით“ შესანიშნავ გარემოს ქმნის ყოველი ქართველისთვის, რომელმაც იცის საკუთარი თავისა და კიდევ უფრო მეტად უცხოელი სტუმრის პატივისცემა.


„ლონდონ პაბის“ საზოგადოებრივი სივრცის თავისუფალი გარემოს ინდივიდუალური, აბსოლუტურად განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია. წინა პლანზე წამოწეული გამომხატველობითი „არქიტექტურული“ ფიგურა, სუფთა ინგლისურ ესთეტიკურ და მეტაფორულ ილუზიებთან ერთად, უფრო ღრმა, დამოუკიდებელ აზრსა და მნიშვნელობას მოიცავს.

ინტერიერის მიკრო გარემო - მისთვის დამახასიათებელი ფუნქციურობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ემოციური დატვირთვით აღ-

იქმება, კონკრეტულ მიზანს ექვემდებარება, მაგრამ ამავე დროს, სივრცის საერთო წყობასთანაა შეთავსებული. მოცემულ შემთხვევაში ესთეტიკა და პრაგმატიზმი მაქსიმალურად შეერწყმის ერთმანეთს.

სიმყუდროვით, მუსიკით და მხიარულებით აღსავსე პაბში შესვლისას, ყველა პრობლემას გარეთ ტოვებ და გავიწყდება, თავი, კი ლონდონური სიუჟეტის ერთ-ერთი პერსონაჟი გგონია.

ენიო ლალიძე





London Pub

Design author – Bacho Khachidze

Georgian youngsters opened a new London Pub in Bambis Rigi (old Tbilisi), which is much better than the old one (about which you could read in the 27th issue of STYLE Magazine) and offers an excellent environment for people knowing how to relax.


Interior of newly-opened London Pub is a transparent, free-flowing public space, featuring a great deal of originality but perfectly adjusted to its function. Major design tool – expressivity of architectural forms along with their purely English aesthetic and metaphoric attrib-

utes – conveys a deep, independent meaning.


Micro-environment of the interior, though fully corresponding to the purpose of the place and subjected to a general goal, is perceived as an integral part of surrounding space. In this design, aesthetical and pragmatic considerations are efficiently matched with each other.

The pub, saturated with music, gaiety and comfort, erases from your mind the everyday routine and lets you feel a character in some London-based performance.

NINO LAGHIDZE



პანო ხაჩიძე
BACHO KHACHIDZE



საგნობრივი გარემოს ანტურაჟი

ახალგაზრდა დიზაინერების ნია მაგლობლიშვილის, სოფო შევარდნაძის და იალიპარტელიანის იდეებით და პროექტებით ტიპიურ, საცხოვრებელ თუ საზოგადოებრივ სივრცეებში წარმოუდგენლად მცირე დროში ულამაზესი ინტერიერული მონაკვეთები შეიქმნა და თითქმის ყოველი, განხორციელებული პროექტი წარმატებულია. ამჯერად, არ შევუდგებით მათი სპეციფიკის თუ კონცეპციის განხილვას და წარმოგიდგინთ კიდევ ერთ ახალ საცხოვრებელ ინტერიერს თბილისში, ქობულეთის ქუჩაზე.

საცხოვრებელში სივრცე ზედმინევით სწორადაა ორგანიზებული. ფერისა და მასალის ჰარმონიაში, ოსტატურადაა მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, კონკრეტული სათავსოს საერთო სტილისტურ გადაწყვეტასთან შე-





საბამისად, გემოვნებითაა შერჩეული ფერნიტურა, ტექსტილი და აქსესუარები. უზადო დიზაინი, ერთიანი იდეითა და თემით გამთლიანებულ ინტერიერულ სახეს ქმნის, რომელშიც დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი, გათვალისწინებულია დამკვეთის ინდივიდუალურობა.

ნარმოდგენილი საცხოვრებელი ინტერიერი თვითმყოფადია - დახვეწილი, ზომიერი დეკორით გამოირჩევა და აბსოლუტურად განსხვავებული სტილისტიკისაა. სხვადასხვა დანიშნულების (საძინებელი, საერთო ოთახი, სამზარეულო კუთხე) და დიზაინერული თვალსაზრისით თვითმყოფადი, დამოუკიდებელი მონაკვეთები არსებული მთლიანობის კომფორტს, სიმყუდროვეს განაპირობებს. ორიგინალური ანტურაჟი საგნობრივ გარემოს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს. ინტერიერის ელემენტურობა ყოველ ნიუანსში ვლინდება, რაც შესაბამისად ავტორთა პროფესიონალიზს დეკლარირებს.

ნინო ლალიძე

ფოტო ირაკლი გლუიშვილი





Material Surroundings with a Creative Turn


Over a comparatively short period of time, young designers Nia Mgaloblishvili, Sophie Shevardnadze and Ia Liparteliani managed to realize their ideas and creative concepts in a number of residential and public interiors. Almost all of their projects are successful. Far from engaging into a detailed review of their specifics and conceptions, we would like to present to your attention still another residential interior these young designers created in Kobuleti Street, Tbilisi.

This residential space is organized with utmost precision. The harmony of colors and design materials, a skillfully planned lighting system, stylistically and functionally relevant furniture, decorative articles and accessories... Flawless design forms a conceptually integrated space, all the components of which are carefully considered to match both the style and the owners' personality.

Original interior of the apartment we are describing here boasts a moderate but refined decor and

absolutely unconventional stylistics. Various zones, differing by function (bedroom, living room, kitchen, etc.) and design, merge to form an integral, comfortable space. Original atmosphere highlights the diversity of objects and manifests careful attention of design authors to every detail, which is a true declaration of their professionalism.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY IRAKLI BLUISHVILI



ინტერიერის თრენინგები



**საცხოვრებელი ინტერიერი, თბილისი.
ავტორი: გიორგი ფერაძე**


წარმოდგენილი ინტერიერის დიზაინი არაორდინალური და კომფორტულია.

საცხოვრებლის ინდივიდუალურობას განასაზღვრავს მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები - საცხოვრებელ გარემოში წარმოქმნილ მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. თავისუფალ, ღია სივრცეში შესაბამისადაა შერჩეული ავეჯი, აქსესუარები, დეკორატიული ელემენტები.

ინტერიერის სტილისტური გადაწყვეტისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ფერია. მისი გრადაცია სიმყუდროვეს განაპირობებს, ნებისმიერ საგანს ოპტიმალურ ფონს აძლევს და მის მოხაზულობას აკონკრეტებს. საცხოვრებლის ხასიათი განათების საშუალებითაც ფორმირდება. ბუნებრივი და ხელოვნური განათების შერწყმით სხვადასხვა „მოცულობები“ იქმნება და სივრცის კომპოზიციური ნიუანსები წინა პლანზეა წამოწეული.

აქ ყურადღებას თითოეული დეტალი იპყრობს. ინტერიერის შემადგენელი ყოველი ნაწილი ინდივიდუალური და თავისთავად ეფექტურია. სხვადასხვა რაკურსში განხილვისას, მათი ლავირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და საგანთა უტილიტარულ დანიშნულებებს აღემატება.

51670 ლალიძე







Something stupid about interiors

Residential Interior, Tbilisi
Author: Giorgi Peradze


Design of this interior is unordinary and comfortable.

Originality of the apartment is highlighted by highly individual features – unexpected design touches, making the environment more uninhibited and comfortable, matching furniture, accessories and decorative articles.

Most important elements in the stylistic solution of the interior are color and lighting. Their gradations help define the character of house, provide an efficient background and highlight the shapes of any object, subtly bringing to the fore compositional peculiarities of the space.

Every part of the interior is original and attractive. When viewed from different angles, the components of the design gain special importance and exceed their utilitarian meaning.

NINO LAGHIDZE



მინიმალიზმი და სისადავე

ავტორი: დიზაინერი რუსუდან თუმანიშვილი

საცხოვრებელი ინტერიერის ერთიანი სივრცის ორგანიზებაში მთავარი მხატვრული პრინციპი მინიმალიზმი და სისადავე გახდა. მოცულობის მთლიანი სახე სასიამოვნო დისონანსების მქონე მოულოდნელობებზეა აგებული.

მისი მთავარი ნიშანია არსებობის ფილო-

სოფია - კომფორტულობა და სისადავე, რომლითაც თითოეული დეტალია გაჯერებული. ასეთი მიდგომა თანამედროვე სტილისტიკაში არაორდინალურ ჩართვებს განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის.





ინტერიერის არქიტექტონიკა მარტივიცაა, რთულიც, ლამაზიც და „არქიტექტურული ჟანრის“ ყველა კანონის მიხედვით ვითარდება. სივრცის მთლიანობის შთაბეჭდილება კომპოზიციის დინამიზმით, ზონიდან ზონაში გარ-

დამავალი დეკორის მიხედვით, ფერის ლავირებით, მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტების რითმებითაა მიღწეული.

ინტერიერში მისი „ვიზუალური მოძრაობის“ - ტრანსფორმიზმის იდეა განხორციელებული, რასაც ეფექტური და მოულოდნელი დიზაინერული გადაწყვეტების სისტემები ილუსტრირებს.

ნინო ლალიძე





Minimalism and Simplicity

Author: designer Rusudan Tumanishvili







Nowadays, the key principle for creation of efficient residential interior designs is the dominance of minimalism and simplicity. General interior design concept should be based on dissonances and surprises.

Key artistic principle, underlying the residential interior design created by Rusudan Tumanishvili, is minimalism and simplicity. The design is based on dissonances and unexpected solutions; its major highlight is the philosophy of being – comfort and simplicity, saturating every detail. This approach makes it possible to organically combine the modern stylistics with original interruptions.




Architectonic system of the interior is both complex and simple, naturally beautiful but complying with architectural standards. The feeling of integrity is achieved by zone-by-zone transition of decor, flexible coloring and a rhythmical system of volume and space solutions.


NINO LAGHIDZE





ექსკლუზივი ინტერიუში





ქეთი ქავთარაძე მოქმედი პროფესიონალი - მხატვარ დიზაინერია და მდიდარ, მრავალფეროვან სამუშაო გამოცდილებას ფლობს. შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად, იგი - ასოცირებული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დიზაინის ფაკულტეტზე (ტექსტილის მიმართულება) პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. 1994 წლიდან დღემდე, არის მხატვრული ტექსტილის სახელოსნოს - La Maison Bleue-ს შემოქმედებითი ჯგუფის წევრი.

მხატვარი ძირითადად ნატურალურ აბრეშუმზე მუშაობს და ექსკლუზიურ ნამუშევრებს - ულამაზეს დეკორატიულ ნივთებს და აქსესუარებს ქმნის საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი ინტერიერებისთვის.

ქეთი ქავთარაძის ნამუშევრების გამოსახვის საშუალებები მრავალფეროვანია. ყოველ მოცემულ შემთხვევაში ქსოვილზე კომპოზიციათა მხატვრული გადაწყვეტა, მისით შექმნილი დეკორატიული ელემენტების მოცემულ სივრცეში გადანაწილება და მომგებიანი „რაკურსი“, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, თავისი სპეციფიკა გააჩნია და კონკრეტული ინტერიერული გარემოს უცილობელი შემადგენელი, ხშირად კი მისი ხასიათის განმსაზღვრელიც ხდება.

მხატვრის ექსპოზიციები ინტერიერის სტილთან, დიზაინის თანამედროვე მოდაზე, მოთხოვნილებებზე წარმოდგენის შესაბამისობაა.

შემოქმედებითი ძიების, მისი განხორციელების არასტანდარტულობის სიძნელე, მხატვრის განსაკუთრებულ, ზოგჯერ კი არსებითად განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს და სწორედ აქ ვლინდება დიზაინერის შემოქმედებითი პოტენციალი. მისი ნამუშევრები მკვეთრად გამოხატული საავტორო ინდივიდუალურობით, დახვეწილი პროფესიული შესრულებით გამოირჩევა, ორგანულად არის ჩანერგილი სივრცეში და რეზონანსია ინტერიერის ანტურაჟთან.



დიზაინერი ქეთი ქავთარაძე
DESIGNER KETI KAVTARADZE

Exclusive for the Interior




Kate Kavtaradze is a highly experienced artist-designer, engaged both in practical and teaching activities – Kate is an associate professor at the design faculty of Tbilisi State Academy of Art and member of textile art studio La Maison Bleue since 1994.



Kate mainly works with natural silk, creating exclusive decorative articles and accessories for residential and public interiors.

Kate Kavtaradze's works are distinguished with their unique and diverse means of expression. In each particular case the original composition, creative spatial solution and advantageous perspective endows her works with unique importance, enriching the interior and sometimes defining its character.

Expositions arranged by the artist always match the specific style of their immediate surroundings and relevant fashion trends.

Unusual means of realization make it necessary to apply a special, often unconventional approach and this is where the designer's creative potential is best revealed. Kate Kavtaradze's works are saturated with clearly expressed individuality, underpinned by refined professional performance, and full integration with the environment.





ფოტომანი 2008



მასტანგ მუმლაძე „საგამოს თბილისი“
VAKHTANG MUMLADZE "SAGAMOS TBILISI"



ლ. ჩხატარაშვილი
L. CHKHATARASHVILI

ინტერნეტკლუბი “ფოტოლაიფი” და ჟურნალი “სტილი” წარმოგიდგინებთ შოუს, რომლის მიზანია, სხვადასხვა დავალებების გადწყვეტის, მოხერხებულობის და ურთიერთობის საშუალებით გამოვლინდეს საუკეთესო თვისებების მქონე ახალგაზრდა ფოტომოყვარული. პროექტის მიმდინარეობისას ყველა მონაწილეს და გულშემატკივარს საშუალება ექნება, წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი, გახდეს წარმატებული და პოპულარული.

ამ განცხადებით დაიწყო ინტერნეტ-რეალითი შოუ “ფოტომანი 2008” – ფოტოკონკურსი, რომლის მონაწილეებმაც ორი თვის განმავლობაში პროფესიონალი ფოტოგრაფის მუშაობის ყველა სირთულე გამოსცადეს.

კონკურსის პირობები და დავალებები აბსოლუტურად განსხვავდებოდა სხვა ნებისმიერი ფოტოკონკურსისგან – მონაწილეებს ორი თვის განმავლობაში საკმაოდ რთული დავალებებისგან შემდგარი

ოთხი ეტაპი უნდა გადაეღებინათ. თითოეულ ეტაპზე შოუს 7 აუტსაიდერიდან 5 ეთიშებოდა, ერთს გადარჩენის ჯგუფი “სწავლობდა”, ერთი კი ე.წ. დავალების პოლინგით რჩებოდა პროექტში. მოკლედ, რეალითი შოუ ონლაინრეჟიმში კონკურსანტების შერჩევით, მონაწილეთა მღელვარებით, კონკურენტების შესაძლებლობების ანონ-დანონვითა და ფოტოლიფელთაგან შემდგარი ჟიურის წევრების გამამაზნეველი მონოდებებით დაიწყო.

- დანების თარიღი ახლოვდება და ყველას დღე ეტყობა. ასე, რომ საინტერესო კონკურსს უნდა ველოდოთ, ძლიერი, მოტივირებული და ყველაფერზე წამსვლელი მონაწილეებით, ბევრი კარგი (და ხშირ შემთხვევაში საუკეთესო) სურათებით (უდავოდ, დადებითი კუთხით აღნიშვნის ღირსია, რომ ერთმანეთს პირისპირ ფირისა და ციფრული აპარატებით “აღჭურვილი” ფოტოგრაფები წარსდგებიან). ასე რომ, ველოდოთ საინტერესო კონკურსს, დაძაბული ბატალიებით! ერთი სული მაქვს როდის მივიღებთ პირველ დავალებას. –

კონკურსის დაწყებამდე ასეთი პოსტები ფოტოპორტალ “Photolife”-ზე უხვად იწერებოდა. პირველივე დავალება საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა მონაწილეებისთვის. 4-6 ფოტოში კონკურსანტს უნდა წარმოეჩინა ამა თუ იმ პროფესიონალის ცხოვრება. დავალებას ასეც ერქვა: „პროფესიონალი” – ფოტოისტორია“.

მესანთლე, მეპურე, ექიმი, მალაროელი, მჭედელი, მოქანდაკე, მხატვარი, პედაგოგი, მენაღე, ფოტოგრაფი... და თითოეული პროფესიისთვის დამახასიათებელი ემოცია, განცდები, ყოველდღიური რუტინა...

შემდეგ კი რამდენიმე ასეული ფოტომოყვარულისგან შემდგარი ჟიურის შეფასებები, შენიშვნები, კრიტიკა, მხარდაჭერა, მოწონებამდა შემდეგ ეტაპზე გადასულთა მილოცვები, მეორე ეტაპის დავალების მოლოდინი, კონკურსისთვის დამახასიათებელი განცდები, საკუთარი შესაძლებლობების და ძალების მოსინჯვამ და მეორე ეტაპის დავალება – ერთი შეხედვით ადვილი, მაგრამ ორიგინალური, საინტერესო სიუჟეტის მქონე და ტექნიკურად მეტნაკლებად გამართული დავალების შესრულება, თემა – “დიდი ქალაქის ჩირაღდნები”...

ფოტოგრაფის შრომა ვილაცისთვის აპარატის ერთ გამჩაკუნებასთან ასოცირდება, ვილაცისთვის კი – ბევრ ფიქრთან, სიუჟეტის დაგეგმვასთან, გადასაღები ადგილის შესწავლასა და გადასაღები წე-

რტილის, განათების შერჩევასთან, ფოტოაპარატის სწორი ტექნიკური პარამეტრების დაყენებასთან, ციფრულ პროგრამებში დამუშავების ტექნოლოგიების ცოდნასთან. დიახ, სწორედ ამდენი ეტაპის გავლა უწევს ფოტოგრაფს, რომ საბოლოოდ ფოტომ მნახველს სიამოვნება მიანიჭოს.


მესამე ეტაპის დავალება – ერთ-ერთი ციფრული ტექნოლოგიის - HDR-ის ცოდნას მოთხოვდა. “არქიტექტურული პეიზაჟი – საღამოს თბილისის” შესრულებისას ამ პროგრამის გამოყენებით კონკურსანტებმა საკმაოდ ორიგინალური, საინტერესო და ლამაზი საღამოს თბილისის ხედები წარმოაჩინეს საკონკურსო გალერეაში.

თუმცა, კონკურსი მხოლოდ ფოტოგადაღების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენით არ შემოფარგლულა. ფოტოგადაღება პირველ რიგში გონებრივი შრომაა, ცოდნაა. კონკურსანტთა ინტელექტუალური ცოდნის შემოწმება კი დავალებით ხდებოდა. ანონიმი ავტორის ფოტოს შესახებ რეცენზიის დანერით კონკურსანტთა პროფესიული და ინტელექტუალური შესაძლებლობები ვლინდებოდა.

კონკურსის მეოთხე, ფინალური ეტაპის დავალება ცნობილი ადამიანების პაპარაცული ფოტორეპორტაჟი გახლდათ. სამი პაპარაცის სამიზნეში “რუსთავი 2”-ის დილის გადაცემა “დილა მშვიდობისა, საქართველოს” სტუდია და წამყვანები მოხვდნენ.

წინო არაზაშვილი და სხვა წამყვანები სტუდიაში, ნატა ნიჟარაძე და ოთარ ქირია კი ჩართვის სხვადასხვა ადგილებიდან – პაპარაცები მათ მთელი გადაცემის მსვლელობისას იღებდნენ. როგორები არიან წამყვანები ეთერს მიღმა, რას აკეთებენ სარეკლამო ჩაჭრებისას და როგორია გადაცემის სამზარეულო – ამ რთულ დავალებას სამივე ფინალისტმა წარმატებულად გაართვა თავი, ჟიურის გადწყვეტილებით კი კონკურსის გამარჯვებული ლევან ჩხატარაშვილი გახდა პრესის მიომიზილველ ოთარ ქირიას პაპარაცული ფოტოებით. სტუდია Photolife-სგან მას გადაეცა პრიზი 1000 ლარის ოდენობით, მეორე და მესამე ადგილებზე გასულმა ფინალისტებმა: ბესიკ დარჩიამ და ზურაბ თვაურმა დიპლომებთან ერთად პრიზის სახით მიიღეს სამსაათიანი უფასო ფოტოსესიის ბარათი Photolife-Studio-ში.

ფოტომანი 2008-ის მსვლელობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია, ასევე საკონკურსო გალერეის ხილვა შესაძლებელია ფოტოპორტალზე: www.photolife.ws.



ჩხატარაშვილი „პროფესიონალი“
CHKHATARASHVILI "PROFESSIONAL"



Photoman 2008

"Internet Club "Photolife" and style magazine organize a reality show aiming at identification of talented young photo amateurs by offering them to solve various assignments. In the course of the project all its participants will be enabled to show themselves at their best in order to achieve success and popularity."

This statement actually launched a two-month internet reality-show "Photoman 2008" – photo competition, offering the participants all the hardships and problems associated with professional photography.

Competition terms and assignments were absolutely different from any other photo competition – during two months the participants had to successfully pass four rounds, each setting a different goal. At every stage, the jury expelled 5 of 7 outsiders; one of the "survivors" was provided a second chance by a "rescue group", and the other remained in the project due to the so-called "+ assignment polling". In other words, the online reality show incorporated all the necessary components – selection and short-listing of competition participants, their emotions, measuring of competitors' abilities and encouraging statements of the jury consisting of "Photolife" club members.

The start date is nearing and the tension increases. We expect the competition to be very interesting and exciting; its participants are strong, motivated and flexible and will surely take a great deal of excellent photos (this is especially interesting considering that both digital and film

cameras are allowed). I cannot wait to see the results of the first assignment.

Such excited messages were frequently posted to Photolife portal before the launch of the competition. The first assignment proved rather interesting for the participants. Each of them had to reflect a professional's life in 4-6 photos. The title of the assignment was "A Professional – photo story".

Lamplighter, baker, doctor, coal-miner, blacksmith, sculptor, artist, teacher, cobbler, photographer – along with emotions, feelings and daily routine inherent to this or that profession...

This was followed by evaluations, supportive and critical remarks of the jury, consisting of several hundreds of photo amateurs, congratulations addressed to successful competitors, anticipations connected with the next rounds... Finally there came the second assignment: comparatively easy but original and technically complex theme titled "City Lights".

Some people believe that photographer's work is just one click on the camera button, the others know that it is underpinned with considerable thought, plot planning, careful examination of the site and selection of the right spot for filming, adjusting of the camera, knowledge of the photo-processing software... All these stages have to be passed before a truly attractive photo is created.

The third round of the competition – "Architectural land-

scape – Tbilisi at night" - required knowledge of a specific digital technology – HDR. Using this program, the competition participants posted original and beautiful views of nighttime Tbilisi to the competition gallery.

However, the competition did not limit itself to testing of technical skills. Photography was approached as an intellectual activity, and the contestants had to apply their professional knowledge and creative thinking while performing the "+ assignments", implying composition of anonymous reviews on other competitors' photos.


The fourth and final round of the competition aimed at creation of paparazzi photo essays on the prominent persons. Three "paparazzi" targeted the morning show of Rustavi-2 TV "Good Morning Georgia".

Nino Arazashvili and other in-studio presenters as well as Nata Nijaradze and Otar Kiria, providing live stand-ups from different sites, were pursued by the contestants all through the show. The three photographers successfully revealed the off-air routine of a TV show with presenters relaxing during the commercials and the technical crew straining to support them. The jury accorded victory to Levan Chkharatashvili for his photos of press-reviewer Otar Kiria. Photolife Studio awarded him with a 1000-lari prize, while the runners-up – Besik Darchia and Zurab Tvauri received free three-hour photo session coupons at Photolife Studio.

Full information on Photoman 2008 as well as the competition gallery can be found at www.photolife.ws portal.



ბესიკ დარჩია „პროფესიონალი“. სკულპტორი უ. კადაგიშვილი
BESIK DARCHIA "PROFESSIONAL" SCULPTOR U. KADAGISHVILI



ჩხატარაშვილი „პაპარაზი“
CHKHATARASHVILI. "PAPARAZZI"



AJM28 "PLATEBOWL/CUP"
DESIGN JASPER MORRISON, 2008
TABLE SET IN WHITE PORCELAIN

ალესის 100 საუკეთესო ნამუშევარი

ალესის ოჯახი უსხოვარი დროიდან ცხოვრობს ალპებში, იტალიის ერთ-ერთ არც თუ ისე მდიდარ ოლქში, სადაც ჯერ კიდევ მკვიდრობს ხის და ლითონის ხელით დამუშავების ტრადიცია.

1921 წელს დაარსებული ალესის საწარმოს კრეატიული შუამდგომლობა თანამედროვე სამომხმარებლო საზოგადოებასა და პიროვნულ ოცნებებსა და წარმოსახვას შორის, ისეთი საგნების შექმნა, რომლებიც დაეხმარება ადამიანს თანამედროვე კულტურის ინტერპრეტაციაში.

The 100 Best of ALESSI

Since time immemorial, my family has been firmly established on Lake Orta. In this poor, narrow valley in the Italian Alps, close to Switzerland, a long-standing tradition in wood and metal handicraft has survived up to this day.

Within the Alessi Company, design in the current sense of the term began to gain a foothold under my father Carlo, who drew on his training as an industrial designer in order to develop virtually all of the products which appeared in our catalogues between 1935 and 1945. In the 1950's, my father replaced my grandfather (who founded the factory in 1921) as corporate general manager, giving up altogether his activity as a designer and increasingly relying on the contributions of freelance designers, in accordance with a practice, which was to become typical of all "Italian design factories".



"ORIENTALES"
STEFANO GIOVANNONI WITH THE
COLLABORATION OF RUMIKO TAKEDA,
2008




ASG90 SET "LILY POND"
SUSHI SET COMPOSED OF: PLATE
AND CHOPSTICKS IN MELAMINE,
SMALL PLATE FOR SOY SAUCE AND
CHOPSTICKS HOLDER IN FINE BONE
CHINA. HAND-DECORATED.



SB06/36
"MARLI" DESIGN LPWK – STEVEN BLAESS, 2008
FRUIT HOLDER IN 18/10 STAINLESS STEEL.



FA07
"BON BON" DESIGN LPWK – FRANCESCA
AMFITHEATROF, 2008
KEY RING/COIN HOLDER IN 18/10 STAINLESS
STEEL AND THERMOPLASTIC RESIN.




ZH01 GD
"CREVASSE" DESIGN ZAHA HADID, 2005
FLOWER VASE IN 18/10 STAINLESS STEEL
WITH GOLDEN COLOURED PVD COATING.
LIMITED EDITION OF 999 NUMBERED COPIES
AND 5 ARTIST'S PROOFS, GOLD-PLATED.



ESI08 "MEDITERRANEO"
DESIGN LPWK – EMMA SILVESTRIS, 2008
SOAP DISH IN 18/10 STAINLESS STEEL.
Ø CM 10,7 – H CM 3,6 / Ø



AMJ10 R
"I VALENTINI" DESIGN LPWK - MARCELLO JORI, 2008
FIGURINE IN PORCELAIN.




To this day, Alessi products are still considered as being handcraft items made with the aid of machines: by this I mean that, even though we rely on contemporary, industrial technology and processing equipment, at depth our practice – the one I believe we ought to stick to – our inherent attitude is still rooted in a handcraft culture.

When speaking about the "Italian design factories" I am referring to a historical group of companies for whom design is a mission, an activity which has gradually broken away from its original meaning as a simple formal project for an object and has become a sort of overall philosophy, a "weltanschauung", underlying all of these companies' operational steps: we believe that our true nature comes closer to a "research lab in the applied arts" than to an industry in the traditional sense of the term: a research lab in the applied arts, the role of which is to mediate continually between the most advanced and stimulating expressions of international creative culture on the one hand, and the public's requirements and dreams on the other. A lab that should be as open and dedicated to the world of creation as possible.

The right type of contribution that an industry such as Alessi can make to the civilized development of the customer society is to be an artistic mediator, attempting to create new objects, introducing a touch of transcendence, helping us decipher our own modernity.

ALBERTO ALESSI

JHT01
"NUT SPLITTER" DESIGN LPWK –
JIM HANNON-TAN, 2008
WALNUT OPENER IN 18/10 STAINLESS
STEEL.



LV02
"ZUCCH" DESIGN LISA
VINCITORIO, 2008
GLASS DOUBLE WALL SUGAR
CASTOR IN GLASS.



FM10/10 R
"COLOMBINA COLLECTION" DESIGN DORIANA
AND MASSIMILIANO FUKSAS, 2007
MAT IN MELAMINE, RED.



FSY01
"BETTINA" DESIGN FUTURE SYSTEMS, 2008
TABLE SET IN WHITE PORCELAIN.

ქართველი დედოფალი და სელჩუკთა არქიტექტურა

გიორგი კალანდია

გადაცემა “ჩვენებურების” შემოქმედებითი კოლექტივი თამარ მეფის შვილიშვილის, კონიის ქართველი დედოფლის გურჯი ხათუნის შესახებ დოკუმენტურ ფილმების ციკლს ამზადებს. ამ მიზნით თურქეთის რესპუბლიკაში ფართომასშტაბიანი ტელეექსპედიცია მოეწყო. მოგზაურობამ რამდენიმე კვირას გასტანა და 4000 ათასზე მეტი კილომეტრი მოიცვა.

სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან დაძრულემა გეზი თურქეთის შუაგულისაკენ ავიღეთ, გავიარეთ იენი რაბათი, მურლულის ხეობა, ანკარა, ანატოლიის ბრწყინვალე ქალაქი კონია, შემდეგ კი კაბადოკიის კლდეებს შორის ნევშეჰირში, ურლუში, ორთახისარსა და ნილდეში ვეძებდით იმას, რაც გურჯი ხათუნსა და მის სამშობლოს უკავშირდება, დედოფლის ნაკვალევმა ავანოსში, კაისერში, სივასა და თოქათშიც მიგვიყვანა. ასე რომ გურჯი ხათუნის ძიებაში თითქოს საპატიო წრე შემოვალეთ თურქეთის შუაგულს და ალბათ ყველაზე სევდიანი ისტორია შევკარით, ისტორია, რომელიც აღმოსავლეთის მზესავით ბრწყინვალე, მაგრამ შორეულია.

რუსუდან მეფის ქალიშვილს, თამარ ბაგრატიონს, იგივე გურჯი ხათუნს, სელჯუკეთში გათხოვების შემდეგ, მჭიდრო კავშირი დაუმყარებია აღმოსავლეთის უდიდეს პოეტთან ჯალალედინ რუმისთან, რომელიც ამ დროისათვის სელჩუკთა სატახტო ქალაქში კო-



ნიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამ მეგობრობამ თავისებური ასახვა არქიტექტურაშიც ჰპოვა.

კერძოდ, იმ ულამაზესი შენობის იერსახეში, რომელსაც „მწვანე აკლ-დამა“ ეწოდება და რომელიც სელჩუკური ხუროთმოძღვრების მარგალიტად ითვლება.

აი რა გვითხრა აქ განთავსებული მუზეუმის დირექტორმა, ხელოვნება-თმცოდნე ნაჯი ბაქირჯიმ: - „მეველანა ჯალალ-ედინ რუმი სულთნის კარზე ყველაზე მიღებული ადამიანი იყო. აქ, მას, ყველაზე დიდ პატივს დედოფალი გურჯი ხათუნი მიაგებდა, რაც ქართველი ქალბატონის სულიერ და გონებრივ სიდიადეს ნათლად მოწმობს. მან აღმოსავლეთის სამყაროს უდიდეს პოეტთან მეგობრობას თავისებური ძეგლი აუგო. მას „იეშილ თურბეს“ - „მწვანე მავზოლეუმს“ უწოდებენ. ერთ-ერთი ისტორიული წყაროს ცნობით, მეველანას, ამ ქვეყნიდან გადასახლების შემდეგ, მისმა მემკვიდრეებმა, ისეთი წმინდა აკლდამის აშენება მოისურვეს, რომლის მსგავსი მსოფლიოში არსად იქნებოდა. ამისათვის საჭირო თანხა - 130 ათასი დირჰემი, კი მათ არ გააჩნდათ, მაშინ ქართველმა დედოფალმა საკუთარი სალაროდან 80 ათასი დირჰემი გაიღო, ამით გურჯი ხათუნმა საკუთარ მასწავლებელსა და საყვარელ მოძღვარს უკანასკნელი საჩუქარი გაუუეთა“.

ამ ძვირფას აკლდამაში დრო ჩერდება. კედლების ულამაზეს ხასხასა ფერთა პალიტრა მთელს სივრცეს სიცოცხლით ავსებს, ლამაზად გამოყვანილი არაბული ასოების და ორნამენტების მაცქერალებს, გგონია, დერვიშები ეს ესაა გამოჩნდებიან და მდიდრულ თაღებქვეშ მეველანას ლექსების თანხლებით ცეკვას დაიწყებენ.

აღმოსავლეთის უდიდესი პოეტი დღეს, ყურანის ბაიათებით მოჩარჩოებული სამოთხის სცენის ქვეშ განისვენებს. აქვე არიან დაკრძალულნი მისი მასწავლებლები და შთამომავლები.

აკლდამა მშენებლობის დამთავრებისთანავე, 1274 წელს არქიტექტორმა ბეჰრეთინ თავრიზელმა მოხატა. გრანდიოზული მშენებლობის სულის ჩამდგმელი, რომ ქართველი დედოფალი იყო, მწვანე აკლდამას ერთი შეხედვისთანავე ეტყობა. მისი არქიტექტურა ისლამური სამყაროსათვის ძალიან იშვიათია. უცნაურია ნაგებობის მთავარი ელემენტის გუმბათის ფორმა და ფერი. შენობის ეს დეტალი მთელ კომპლექსს აგვირგვინებს. გუმბათის ყელის განუმეორებელ ეფექტს ზიგზაგები ქმნის, საკმელები მას საერთოდ არ გააჩნია. მწვანე კერამიკის ფილებით ისეა მოპირკეთებული, რომ მზის სხივებს სხვადასხვა კუთხით ირეკლავს და ძვირფასი თვალისთვის ბრდღვიალებს.

- „მწვანე აკლდამა ძალიან ჰგავს ქართულ გუმბათს. მისი, ე.წ. ზიგზაგისებური ფორმა, ხანძრის ტაძრიდან მომდინარეობს და ფართოდ დამკვიდრდა, როგორც ქართულ, ისე სომხურ არქიტექტურაში. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ეს ფორმა შესაძლოა სწორედ სომხეთის მოხვედა კონიაში - სელჯუკები ხშირად ქირაობდნენ სომეხ ოსტატებს. გარდა ამისა, არსებობს ერთი ქალის - გურჯი ხათუნის სახე. ცნობილია მისი დამოკიდებულება მეველანასადმი და როცა იგი, ამ საჩუქარს უძღვნიდა მასწავლებელს, საკუთარი სამშობლოსადმი ნოსტალგიასაც განიცდიდა, რამაც ასახვა სწორედ აკლდამის არქიტექტურულ ფორმაში ჰპოვა“ - გვითხრა ინტერვიუს დროს ქართველმა ხელოვნებათმცოდნე ირინა გივაშვილმა.

ამდენად, თუ მშენებლობის ისტორიას დღევანდელი გადმოსახედიდან გაეცოცხლებით არქიტექტურული შედეგის შექმნის ყველა ეტაპს თვალნათლივ დაინახავთ.

ხუროთმოძღვარმა ბეჰრეთინ თავრიზელმა გურჯი ხათუნის ოცნებებსა და ქალაღზე შექმნილ ნახაზებს ხორცი ერთ წელიწადში შეასხა.

აკლდამის ძირითადი სხეული მეჩეთის კლასიკურ ნაგებობას წარმოადგენდა, მაღალი მინარეთებით, ნახევარსფეროსებულის სახურავებით და მცირე კოშკურებით. თუმცა მთავარი დეტალი - ცენტრალური გუმბათი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო. არქიტექტორს შეეძლო მის ადგილას მეჩეთისთვის დამახასიათებელი სფერო დაედგა, მაგრამ ბეჰრეთინმა საკითხი გაცილებით ორიგინალურად გადაწყვიტა და თავისუფალ სივრცეზე ქართული ტაძრის მსგავსი გუმბათი აღმართა და გენიალური ნაგებობაც შექმნა. მწვანე თურბე ორი უდიდესი ცივილიზაციის, ნიჭიერებისა და შემოქმედებითი ენერჯის თავისებური ნაზავი აღმოჩნდა.

კონიაში თანდათან იძალა ლამემ, ბნელი სივრცე თავსაბურავით შემოეკრა მწვანე აკლდამის განათებულ სხეულს. ვინ იცის, რამდენმა ლამემ გადაურბინა ამ თაღებს, რამდენმა მოგონებამ დალია სული მის კარიბჭესთან. ამ კედლებთან ხომ გამუდმებით ჩქეფდა და ჰქუხდა ისტორია. ცაში ატყორცნილი ლამაზი გუმბათისთვის კი, დრო არც კი შეეცვლილა, რადგან გრძნობა, რომელმაც ეს ულამაზესი ძეგლი ააგო, დღესაც ცოცხალია. ისე, როგორც 700 წლის წინ, ახლაც, ყოველ ღამეს, აკლდამის თავთან ერთი - ბეჭდის თვალისთვის ბრდღვიალად ვარსკლავი ჩნდება. ამ ვარსკლავს ქართველი დედოფლის სახელი ჰქვია - მასავით მიუწვდომელი და ლამაზია. სიცოცხლეშივე გაღმერთებული გურჯი ხათუნი ციდან დაჰყურებს საყვარელი მოძღვრის განსახვეწებელს...

... და ხედები, რომ მხოლოდ დიდებულ ადამიანებს ძალუთ დროის დამარცხება.



Georgian Queen and Seljuk Architecture





GIORGI KALANDIA

TV Show Chvенеburebi is preparing a series of documentaries about the Gurji Khatun, the Georgian queen of Konya, granddaughter of Queen Tamar. A large TV expedition to Turkey was arranged with this goal. The film crew had to travel for several weeks and cover more than 4000 km during their trip.

From the border passport control point in Sarpi we headed toward the heart of Turkey, passing Yeni Rabat, Murguli Gorge, Ankara, magnificent Anatolian city of Konya and then wandered amid the Cappadocia rocks in Nevsehir, Urgup, Nigde to find the links, connecting Gurji Khatun with her homeland. The traces of the queen's story brought us as far as Avanos, Kayseri, Sivas and Tokat. In other words, in search of Gurji Khatun we walked a circle of honor around central Turkey, uncovering a sad story, brilliant but distant like Oriental sun.

After her marriage to a Seljuk sultan, the daughter of Queen Rusudan Tamar Bagrationi, also known as Gurji Khatun, established close relationship with the greatest Oriental poet Jalal ad-Din Rumi, who at that time lived in the Konya, capital of the Seljuk Sultanate of Rum. Their friendship left a peculiar trace in local architecture – that is, in the design of the Green Tomb, considered as the masterpiece of Seljuk architecture.

Here is what we heard from art historian Naji Bakirji, director of the local museum: "Mevlana Jalal ad-Din Rumi was always welcome at the sultan's court. He was deeply respected by Queen Gurji Khatun, and this attitude manifests the prominence of her spirit and intellect. To honor the friendship with the greatest poet of the world, she built an unusual monument currently known as Yesil Turbe, the Green Tomb. According to one of historical sources, after Mevlana's death his successors decided to build a mausoleum, which would be unique in the world. As they did not have enough funds to start construction, the Georgian queen donated them 80000 dirhams from her personal treasury, thus presenting the last gift to her favorite teacher and counselor."

One look at this breathtaking mausoleum makes you feel that the time has stopped. Brightly colored walls fill the space with life; painted ornaments and Arabian script, are a perfect

setting for the whirling dance of Dervishes.

The greatest poet of the East is buried under a painting representing a scene of paradise, bordered with Koran verses; the mausoleum also houses the tombs of his tutors and successors.

Immediately after construction (in 1274) the mausoleum was painted by architect Behrettin Tebrizli. The fact that the grand construction was initiated by the Georgian queen is imminently visible from one look at the Green Tomb. Its architecture is very rare for the Islamic world. The strange associations are evoked by the shape and color of its dominant element, the cupola. The windowless drum neck of the cylindrical dome has a unique zigzag trimming and turquoise faience tiling, reflecting sunrays and shining like a gem.

"The Green Tomb bears a close resemblance to Georgian domes. The zigzag trimming takes its origin in Khandzta Church and is widely spread in Georgian and Armenian architecture. A part of researchers believes that this shape came to Konya from Armenia – the Seljuks often contracted Armenian architects. But on the other hand we know that the construction was built with participation of a Georgian queen Gurji Khatun. Her relationship with Mevlana is a proven fact; when dedicating this gift to her tutor the queen certainly missed her homeland and this feeling found a due reflection in the architectural design of the mausoleum," – told us Irina Givashvili, the Georgian art historian.


The information we currently have at our disposal gives us a comprehensive idea of how this building was created.

Architect Behrettin Tebrizli spent one year to realize Gurji Khatun's vision, complemented by his own design.

The main bulk of the mausoleum follows the classical shapes of a mosque with tall minarets, hemispherical roofing and small towers. However instead of crowning the construction with a traditional round dome, Behrettin applied a much more original solution by building a cylindrical dome reminding of a Georgian church. The Green Turbe is a unique confluence of two great civilizations, a mixture of talent and creative energy.


We kept studying the building until sunset, when the darkness gradually enveloped the shining body of the Green Tomb. Who knows how many nights these vaults have witnessed, how many memories waned at its threshold... The life used

to swirl around these walls, which saw innumerable turns of human history. And the beautiful dome piercing the sky stands unchanged, because the sentiment from which it originated is still alive. Today, just as 700 years ago, the mausoleum wears this dome as a crown, glittering like star. This star bears the name of a Georgian queen and is as distant and beautiful as a queen - immortal Gurji Khatun still contemplates her tutor's tomb from the heaven.





რომანტიკულიდან ფერწერულ ლაპიდარულობამდე



ელდარ რუხაძე დაიბადა 1943 წლის 9 იანვარს. 1960-1966 წლებში იგი სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტზე პროფესორ ნოდარ ლობერიძის ხელმძღვანელობით. ელდარ რუხაძის პრაქტიკა მოიცავს მცირე ინტერიერული და ექსტერიერული არქიტექტურული ფორმების დიზაინს, ლითონის სკულპტურას, მონუმენტურ მხატვრობას, ფერწერისა და დეკორატიული ხელოვნების სხვადასხვა დარგებს. ელდარ რუხაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში.



მხატვარ ელდარ რუხაძის შემოქმედებით სამყაროში, თანდათანობით, უჩვეულო სიმსუბუქით გამოიკვეთება, ერთის ნახვით შეუმჩნეველი, ცხოვრების სიღრმისეული სტიქია. იქ თითქოსდა შეუთავსებელი სანაყისების შერწყმით თუ დაშორებით, ინდივიდუალური, ერთიანი, პლასტიკური სივრცე იქმნება. მხატვრის ნაწარმოებში ფილოსოფიური სანაყისი მასალასთან დამოკიდებულებით, მისით ფლობასა და ტკბობაში აღიქმება. ფიგურებში თითქმის ფიზიკურად შევიგრძნობთ მათ მასიურობასა და სირბილეს, ფერის დინამიკას, დახვეწილ ლაკონიზმს, განუმეორებელ სილამაზეს.

ტრადიციებზე დაფუძნებული თვითგამოვლენის ახალი თავისუფლება ფორმის დინამიკაში, ემციურობაში ვლინდება, იგი ვიბრირებს, ფეთქავს. ნახატის პლასტიკა დინამიკური სიუჟეტის, რელიეფური ხაზების და მსუბუქი, დაუდევარი ფერწერის უჩვეულო შერწყმის სიახლით განცვიფრებას იწვევს.

მხატვრის სამყარო მრავალფეროვანი, ნათელი და ერთიანია. ფორმა და მრავალმასშტაბიანი მსუბუქი გრაფიკა პლასტიკის არაორდინალურობის მიუხედავად, ნახატს, ფიგურას, თემატიკას ატმოსფეროსა და დროის საერთო მოძრაობასთან აერთიანებს.

ელდარ რუხაძის ნახატებში ფორმის ძირითადი დრამატურგია, გრაფიკითა და პლასტიკურობით, სიმშვიდითა თუ მოძრაობით გაჯერებული ურთიერთინააღმდეგობრივი დამოკიდებულებებით თამაშდება. კომპოზიციის არამდგრადობის შთაბეჭდილებას დინამიკური „რელიეფი“ და მკვეთრი „მლელვარე“ გრაფიკა ქმნის. მასში ადამიანის სახისა სხეულის ნაკვეთების სინაზე ფრაგმენტულადაა ჩანერგილი.

ელდარ რუხაძის ნახატებში ძლიერი, მკვეთრი ფერთი ხაზებით მიღებული ზედაპირების ერთიანობაა გამოკვეთილი. პლასტიკაში მუდმივად შევიგრძნობთ დიდი და სერიოზული ხელოვნების სუნთქვას, ძიებების ფართო დიაპაზონს, გროტესკულიდან თუ რომანტიკულიდან ფერწერულ „ლაპიდარულობამდე“.

ენო ლალიძე





From Romance to Measured Precision

Eldar Rukhadze was born on January 9, 1943. In 1960-1966 he studied at Tbilisi Art Academy, the Department of Design, under professor Nodar Gogoberidze. His practical activities include the design of small interior and exterior architectural forms, metal sculpture, mural monumental painting, different branches of fine and decorative art. He took part in republican, all-Union and international exhibitions.

The art of Eldar Rukhadze reveals the seemingly unnoticeable in-depth essence of life with surprising ease, bringing together conflicting principles and enriching them with new meaning. Philosophical background of the artist's works is manifested through his attitude toward the material and the taste with which he transforms it into paintings. The figures and shapes offer an almost physical feel of magnitude and softness, flexibility of color, refined laconism and unique beauty.

Vibrant freedom of self-expression, taking its source

in creative traditions, is revealed in emotional dynamics of shapes. The paintings surprise us with their dynamic plot and original combination of clear-cut lines with light, casual strokes.




The world, created by the artist, is diverse, light and free-flowing. Complex graphics integrates the painted shapes with the surrounding atmosphere and general motion of time.

Dramaturgy of forms in Eldar Rukhadze's paintings is developed through controversial attitude toward

stillness and movement of shapes, rigidity and flexibility of lines. Dynamic relief and sharp, emotional graphics create an impression of instability of composition, in which the tender lines of human bodies and faces are inserted fragmentarily.

Eldar Rukhadze's works are distinguished for their feel of integrity, highlighted by bright color lines. Every painting breathes profound art, ranging from grotesque and romance to measured precision.

NINO LAGHIDZE





სილამაზე, რომელიც მსხვერპლს არ მოითხოვს

განსხვავებული სურვილების, ნიჭის, გემოვნების ადამიანები ყოველთვის არსებობდნენ. ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებული, მოკრძალებული, თავმდაბალი – ასეთი დახასიათება შეიძლება მივუსადაგოდ ადამიანს, რომელიც მიიწინა წარმოადგინით – ქალბატონი სტელა ლუზანი, წარმოშობით ფრანგი, თბილისში დაბადებული, გაზრდილი.

სილამაზე სხვადასხვა სახით შეიძლება წარსდგეს ჩვენს წინაშე – ნახატი, ქანდაკების, დეკორატიული ნაკეთობის, არქიტექტურული ნაგებობის და თქვენ წარმოიდგინეთ თურმე კულინარიული სახითაც კი. ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს საკონდიტრო ნაწარმზე, რომელიც პროფესიონალის ხელით, წარმოსახვით, ხედვით სრულდება, სცილდება უტილიტარული სილამაზის ფარგლებს და ხელოვნების ნიმუშებს უახლოვდება. დიზაინერის ფანტაზია ყოველგვარ ზღვარს სცილდება და ჩვენს თვალწინ, ერთის შეხედვით სრულიად პრაგმატული საკვები პროდუქტი ხელოვნების ნიმუშად წარმოგვიდგება. სხვადასხვა ფერისა და ფაქტურის მქონეობით ეფექტურად გადანაცვლებილი დიზაინი, ნატიფი ფორმები, დეტალები არაორდინალური გამოვლინებით, განსაკუთრებული ხიბლით გამოირჩევა და შეჭმადი პროდუქტი ისეთი სილამაზით წარმოჩინდება, რომ მასთან შეხება, ამ მშვენიერების „დანგრევა“ დანაშაულის ტოლფასი ხდება, მაგრამ რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს მშვენიერების, სილამაზის რეალურად შეგრძნება ხანდახან თურმე მსხვერპლსაც მოითხოვს...

ლალი ბახტაძე



Beauty Without Sacrifice

There always existed people with different aspirations, talents and tastes. Deeply in love with art, humble, modest - these are the epithets most suitable to the person I would like to introduce to you today – Ms. Stella Luzan, French by origin, but born and grown up in Tbilisi.

Beauty can manifest itself in many ways – in a painting, a sculpture, a decorative object, architectural building or even as food. In this case we speak about confectionery, distinguished by professional vision and imagination and almost leveled with art. Designer's fantasy exceeds all limits to create a masterpiece from foodstuff, which is something very down-to-earth for ordinary humans. Efficiently combined colors and textures, refined forms and unordinary application of details merge into something special, which is almost a sin to destroy. But, however impossible and unexpected it might seem, it sometimes takes a sacrifice to perceive the beauty entirely...

LALI BAKHTADZE







2009 წლის 22 იანვარს გალერეა “ვერნისაჟში” გაიხსნა გიორგი გაგოშიძის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით “აბასთუმანი, აბასთუმანი...”

ეს გიორგი გაგოშიძის მეორე პერსონალური გამოფენაა. 2007 წელს მხატვრის პირველ პერსონალურ გამოფენასაც გალერეა “ვერნისაჟში” უმასპინძლა. წინამდებარე ექსპოზიციაზე სახელწოდებით “აბასთუმანი, აბასთუმანი...” წარმოდგენილია მხატვრის 30 ფერწერული და ფოტონამუშევარი. აქ იხილავთ აბასთუმნის ხედვებს მისი უნიკალური სახლებით, რომელთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, დანგრევის პირასაა მისული. ვერნისაჟზე წარმოდგენილი ტილოები და მხატვრის მიერ გადაღებული ფოტოები მნახველს საშუალებას აძლევს თავად აღმოაჩინოს კავშირი მხატვრის თვალით აღქმულ და დღევანდელ აბასთუმანს შორის.

VERNISSAGE gallery
Exhibition of
Giorgi Gagoshidze
"Abastumani, Abastumani..."
Opening of January, 2009



ყველა ჩემს სურათს საქართველოს სივარულთ ვხატავდი (ვარლა)


2009 წლის 6 იანვარს გალერეა „ვერნისაჟში“ წარმოდგინა პროექტი „ქართველი ემიგრანტი მხატვრები“ კერძო კოლექციებიდან (მეორე გამოფენა).
პროექტის ხელმძღვანელი: ზაირა ბერელიძე

ვარლას ნამუშევრების თვალწინების დროს თითქოს ერთი გაბმული, სევდიანი მელოდია ჩაგვესმის. განწყობას ქმნის ერთმანეთისგან განცალკევებულ, გარინდებულ ფიგურათა შორის მზერით ან მოქმედებით გარდამავალი მოძრაობა, რასაც ენმინება შესატყვისად განლაგებული საგნების რიტმული მონაცვლეობა. შესაძლებელია ეს მუსიკა სამშობლოს დაშორებული მხატვრის ნოსტალგიის გამომხატველია. მითუმეტეს, რომ ბევრი სცენა საქართველოდან წაღებულ, სხვადასხვა შთაბეჭდილების ზემოქმედებით ტრანსფორმირებულ მოგონებებს ჰგავს.

ქეთევან კინსურაშვილი



ცხენები. გუაში, გუაში
THE HORSES. GOUACHE ON CARDBOARD




იმერეთი. გუაში, გუაში
IMERETI. GOUACHE ON CARDBOARD

All my pictures are inspired with love for Georgia Varla


6 Of January 2009, the VernissageGallery presents the project
GEORGIAN EMIGRANT PAINTERS
From private collections (the second exhibition)
Head of the project: Zaira Berelidze

When looking at Varla's paintings, you may feel as if you hear a lingering melancholy melody. The ambiance is created by the motion propagated from one entranced figure standing aloof to another through a look or an action, which is in harmony with the rhythmical succession of aptly arranged objects. The tune can be interpreted as expressive of the nostalgia of an artist living far away from his homeland. The more so that many scenes resemble the reminiscences taken from Georgia and transformed under the influence of various impressions.

KETEVAN KINTSURASHVILI



პანორამა. გუაში, გუაში
LANDSCAPE. GOUACHE ON CARDBOARD



ჩანახატი. მატალდი, პირიპული ტიპინიას
SKETCH. MIXED MEDIA ON PAPER




2008 წლის 7 - 19 ნოემბერი
 "ბაია ბალეჩა"
 ჰიქოაჰი "XX საუკუნე -
 საწყისი სივრცე"
 ქართული მოდერნიზმი
 ხაიძო ხოლმეხიძე

პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით და ჩატარდა თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფორუმის - "არტისტერიუმი" ფარგლებში.

გამოფენის კურატორი და პროექტის ავტორი ბაია წიქორიძე.


მონაწილე მხატვრები: დავით კაკაბაძე, პეტრე ოცხელი, ლადო გუდიაშვილი, კირილე ზდანევიჩი, ელენე ახვლედიანი, იოსებ გაბაშვილი, ვალერიან სიღამონიერისთავი, ირაკლი გამრეკელი, კლარა კვეციანი, გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, ემა ლალავეა, ვერა როხლინა, შალვა ქიქოძე.



პროექტის "საწყისი სივრცე" ექსპოზიცია XX საუკუნის 10 - 30 წლებს მოიცავს. ქართული მოდერნიზმის ეს ნიმუშები კერძო კოლექციებიდან, პირველად არის ექსპონირებული საგამოფენო სივრცეში და კატალოგში. ამიტომ ჩვენება აღმოჩენის უფლებამოსილებას ატარებს, ხოლო ნამუშევართა უმრავლესობა რარიტეტია.. კერძო კოლექციების უნიკალური მასალის კვლევა, გალერეის მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებაა, რაც ქართული კულტურის ისტორიული პროცესის მოდელს ააქტიურებს.

ბაია წიქორიძე

7.11.2008, 7P.M.
 BAIJA GALLERY PRESENTS NEW EXHIBITION AND CATALOGUE LAUNCH
 "THE 20TH CENTURY – STARTING SPACE"
 GEORGIAN MODERNISM FROM PRIVATE COLLECTIONS




The Project is implemented with support Of The Ministry of Culture, Monument Protection and Sport of Georgia Within the framework of Artisterium – the International Forum of Visual Art
 Author of the project and curator of the exhibition Baia Tskoridze

The outset of the 20th century came to be a starting space ushering Georgian art into the world of modernism and avant-garde. The process was halted under the pressure of social realism. The artistic texture of the contemporary events was motley and polystructural, blending oriental flavor of the Silk Road city with its fresh outlook to Europe.

The Starting space Project exhibition covers the period from the 1910s to the 1930s. It is for the first time that these works of Georgian modernism, kept in private collections, have become accessible to general public, which makes the event eligible to be called a discovery, more so that the majority of the works are rarities. The study of the unique pieces from private collections is the priority of the gallery, which renders dynamic the historical process of Georgian culture.

BAIA TSKORIDZE






2008 წლის 21 ნოემბერს „ბაია გალერეაში“ გაიხსნა მხატვარ გოგი ჩაგელიშვილის გამოფენა - "არმაზი". იგი მხატვრის მეოთხე ექსპოზიციაა ამ თემაზე. გამოფენა საგანგებოდ მომზადდა გალერეისათვის.

მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში; მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში; ბარსელონას სახვითი ხელოვნების მუზეუმში და ბროკის გალერეაში; კერძო კოლექციებში.




21 Of November 2008 the Baia Gallery present the fourth exhibition of Gogi Chagelishvili - ARMAZI

His works are kept at Modern Art State Museum, State Art Museum – Tbilisi; Oriental People's Art Museum , Tretyakov Gallery – Moscow; The Barcelona Fine Arts Museum and Brock Gallery; Private collections.





ცნობილი, უცნობი პერსონა



“ბაია გალერეამ” პროექტის - “პროცესი” – ფარგლებში, 2008 წლის 21-25 ოქტომბერს “თიბისი” ბანკის საგამოფენო დარბაზში მოეწყო თეატრისა და კინოს მხატვრის, ნიკა ყაზბეგის საიუბილეო – დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენა და კატალოგის პრეზენტაცია.

ნიკა (ნიკოლოზ 1908 – 1983) ყაზბეგის ერთადერთი პერსონალური გამოფენა მხატვრის გარდაცვალების შემდეგ, 1984 წელს მოეწყო.

ნიკა ყაზბეგის ნამუშევრები არა ერთხელ დაჯილდოვდა საუკეთესო თეატრალური გაფორმებისათვის, საკავშირო თეატრალურ ფესტივალზე, სპექტაკლებისთვის: “ესკადრის დაღუპვა” (მარჯანიშვილის თეატრი), “დიდი ივანე” (თბილისის თოჯინების თეატრი), “ჭექა-ქუხილი” (ორჯონიკიძის დრამატული თეატრი), “სანამ ურემი გადაბრუნდება” (ომსკის დრამატული თეატრი).



Known / unknown person




On October 21-25 2008, exhibition hall of TBC Bank hosted an exhibition dedicated to the 100th anniversary of scenographer and art director Nika Kazbegi and presentation of a catalogue of his works. The event was organized by Baia Gallery under its project titled “Process”.

This project, run by Baia Gallery, aims at publicizing the development of Georgian art in the 20th century by arranging personal exhibitions of different artists – exhibitions of artists not very well known or almost forgotten by public.

The only personal exhibition of Nika (Nikoloz. 1908-1983) Kazbegi was arranged shortly after his death, in 1984. Since then, his paintings have never been exhibited, though it was always possible to discover his works in such popular movies like “Father of a Soldier”, “Meeting Past”, “Nino”, “A Necklace for My Beloved”, “Waiting”, etc.

Nika Kazbegi’s works: “Death of the Fleet” (Marjanishvili Theatre), “Ivane the Great” (Tbilisi Puppet Theatre), “Thunderstorm” (Orjonikidze Drama Theatre), “Till the Cart Flips Over” (Omsk Drama Theater) have received numerous awards for their excellent scene design at USSR Theater Festivals.

The exhibition, arranged by Baia Gallery, is a new discovery of the painter, whose art with its temporal and stylistic features returns us into the scenic and cinema world of the 20th century. The 50-year-long history of Nika Kazbegi’s art is the history of this space, and his works are the milestones of Georgian theatre and cinema.



ARTTIME Jubilee

On December 4, Tbilisi beau monde, businessmen and foreign guests gathered in Scheraton Metechi Palace Hotel to celebrate the fifth jubilee of ARTTIME. The event featured all the attributes of a luxurious celebration - red carpet, festive atmosphere, a specially staged theatrical performance, etc.

The jubilee was opened by a mini-performance of Motion Theatre actors. The allegory staged by Giga Agladze narrated about the birth of the world and introduction of the most important human invention – time-measuring device. Original musical background and expressive movements of the actors echoed by background shadows produced an unusual impression.

Theatrical performance was followed by a fashion show, featuring a collection, dedicated to ARTTIME brand, and shown by Slide Agency models. The last strike of the defile was a creative interpretation of ARTTIME logo, presented by a model painted in white and clad in a black dress with a red belt.

Conclusive part of Jubilee program implied a charitable action: auction sales of five expensive lots - three watches (Swatch with Blue Men Group design, an original Tissot sports model and classical gold Longines watch) and two pieces of jewelry – gold necklace and diamond earrings. The funds received from their sales were transferred to SOCO Foundation, established by First Lady of Georgia Sandra Elisabeth Roelofs and engaged in reproductive health and baby care issues.

ARTTIME Company was founded in 2003; nowadays it incorporates a network of 8 watch shops and 1 jewelry shop in Tbilisi. ARTTIME is an exclusive importer of Swiss watches in Georgia; its sales network sells the products of 15 brands: Flik Flak, Swatch, Wenger, Tissot, ck watch & jewelry, Longines, Rado, Raymond Weil, Doxa, Emporio Armani, Valentino, Versace, Salvatore Ferragamo, Breil Milano as well as jewelry produced by Novarese & Sannazzaro and Assos.

ARTTIME-ის იუბილე

4 დეკემბერს თბილისური ბომონდის წარმომადგენლები, ბიზნესმენები და უცხოელი სტუმრები სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ARTTIME-ის 5 წლის იუბილეს აღსანიშნავად შეიკრიბნენ. წითელი ხალიჩა, საიუბილეო გარემო და თეატრალიზებული წარმოდგენა ამ დღისთვის განსაკუთრებულად მომზადდა.

ლონისძიება მოძრაობის თეატრის მსახიობებმა მინი წარმოდგენით გახსნეს. გიგა აგლაძეს მიერ დადგმული პერფორმანსი სამყაროს გაჩენას და ადამინის მნიშვნელოვან გამოგონებას, დროის საზომს ანუ საათს ეხებოდა. ორიგინალური მუსიკალური გაფორმება, ექსპრესიული მოძრაობები და ჩრდილების თამაში დროის მოძრაობის საინტერესო შეგრძნებას იწვევდა.

თეატრალიზებული წარმოდგენის შემდეგ სპეციალურად ამ იუბილესათვის შექმნილი მოდელების ჩვენება მოეწყო. სამოდელო სააგენტო „სლაიდის“ მოდელებმა ARTTIME-ის კონკრეტული ბრენდისადმი მიძღვნილი კოსტიუმები წარმოადგინეს. დევილეს ბოლოს ნაჩვენები თეთრად შეღებილი მოდელი შავი კაბითა და წითელი ქაბრით, ARTTIME-ის ლოგოს ინტერპრეტაციას წარმოადგენდა.

იუბილე საქველმოქმედოც იყო. ლონისძიების ბოლოს აუქციონი მოეწყო, რომელზეც გამოტანილი იყო სამი ძვირადღირებული საათი და ორი სამკაული: „ბლუ მენ“ ჯგუფის მიერ შექმნილი Swatch-ის საათი, ორიგინალური დიზაინის Tissot-ის სპორტული საათი და Longines-ის კლასიკური ოქროს საათი, ასევე ოქროს ყელსაბამი და ბრილიანტის საყურეები. მათი გაყიდვიდან შემოსული თანხა საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ფონდ SOCO-ს გადაერიცხა. ფონდი საქართველოს პირველი ლედის სანდრა ელისაბედ რულოვსის მიერაა დაარსებული და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ახალშობილებზე ზრუნვას ემსახურება.

კომპანია ARTTIME 2003 წელს დაარსდა და დღეისათვის თბილისში 8 საათებისა და 1 საიუველირო მაღაზიას ითვლის. იგი შვეიცარიული საათების ექსკლუზიური შემომტანია საქართველოში. მის მაღაზიათა ქსელში 15 ბრენდია წარმოდგენილი: Flik Flak, Swatch, Wenger, Tissot, ck watch & jewelry, Longines, Rado, Raymond Weil, Doxa, Emporio Armani, Valentino, Versace, Salvatore Ferragamo, Breil Milano, ასევე სამკაულები Novarese & Sannazzaro და Assos.








ფლირტი ფერწერასთან



ზურაბ ნიჟარაძე – ამ სახელს ზედსართავეები არ სჭირდება...
 პიკო – ასე იცნობენ მას ახლობლები...
 ახლობელი კი, ბევრი ჰყავს; ოლონდ, ერთი შეხედვით...
 თუ დავაკვირდებით, ის მუდამ გვიქმნის ფარულ დისტანციას საკუთარ პერსონასთან და გაუცხოების გარკვეული დოზით გვიახლოებს.
 ნიჟარაძის რანგის მხატვარზე იტყვიან – ცოცხალი კლასიკოსიაო, თუმცა, თავად მუდამ ირონიით ეკიდება ამგვარ ტრივიალურ გამონათქვამებს.
 და მაინც, ის თავისებური კლასიკოსია; მხატვარი, რომელმაც ყოველგვარი აჟიოტაჟისა და საკუთარი არტისტიკული პერსონის ირგვლივ ატეხილი სმაურის გარეშე დაიმიკვიდრა თავი ქართულ (და არა მხოლოდ ქართულ) ხელოვნებაში.
 ნიჟარაძე უპირველეს ყოვლისა, ფერმწერია, კოლო-

რისტი, ვისთვისაც საკუთრივ ფერი წარმოადგენს სამყაროს ესთეტიკური წვდომის უმთავრეს ინსტრუმენტს. ის ნახატის იშვიათი მასეტროცაა...
 ჭეშმარიტი ესთეტიკაა; ოლონდ, არასოდეს ეგება სტილიზაციის ხაფანგში; მანერულობა მისთვის უცხოა და მიუღებელი.
 არასოდეს გვევლინება ნატურის მონად და თავის ოპუსებში წარმოგვიდგება მხატვრად, რომელიც იმპროვიზაციული ფანრიტ ახერხებს ამ ნატურასთან მიახლოებასაც და დაშორებასაც...
 ნიჟარაძე ნატურასთან ესთეტიკური ფლირტის, თანაც გახანგრძლივებული ფლირტის ოსტატიაა; ჩინებულად ფლობს სხეულის ენას – გამორჩეულად გრძნობს ქალს, როგორც ნატურას და ზენატურასაც...
 ის ელეგანტურად გვთავაზობს ერთი და იმავე მოტივის ვარიაციებსაც; შეუძლია, ნამდვილი მსახიობით, მრავალგზის შევიდეს როლში...





მის სამყაროში დიდი კულტურული თეზაურუსი იგრძნობა, ნიჟარაძესთან თავს იყრიან მსოფლიო პლასტიკური ხელოვნების განსხვავებული, ხშირად, პოლარული საწყისები – ფაიუმის პორტრეტებიდან დაწყებული ვიდრე მატისამდე...

ნიჟარაძეს თავისი სამყარო აქვს; თავისი პერსონაჟები ჰყავს; პიკოსეული აურით გარემოსილი სიმპათიური პერსონაჟები...

მხატვარი მითოლოგიურ გმირებსაც თანამედროვეებით აღიქვამს, თანამედროვეთ კი, მითოსური იერით მოსაგვს და ამით, კიდევე უფრო ამბაფრებს მათი ირეალურობის თუნდაც, არაამქვეყნიურობის ილუზიას.

ნიჟარაძის ხელოვნება ეთნიკურ საწყისსაც გულისხმობს, თუმცა, ეს უკანასკნელი მის ოპუსებში სულაც არაა აფიშირებული და ფარულად იგულისხმება მათ დრამატურგიაში.

არც დრამატიზმია მისთვის უცხო, ოღონდ, ისიც დაოკებულია და ირონიზირებული.

ის ტრანსნაციონალური მხატვარია; ეროვნულის შედღიერება არა სჭირდება; მისი გემოვნება ვერ ჰგუობს პროვინციალიზმს.

ნიჟარაძის მხატვრობა ელიტარულიცაა და ეგალიტარულიც; რადგანაც მშვენიერების უნივერსალიებს ეფუძნება და უშურველი არტისტიზმით გამსჭვალულ სამყაროს წარმოგვიდგენს; სამყაროს, რომლის დროცა და სივრცეც, ისეთივე ფართოა და უსასრულო, როგორც ადამიანის სული – ლამაზ და ჯანსაღ სხეულში დაუნჯებული...

დავით ანდრიასი

ილიის ავტორი გუზა სვიმონიშვილი

შურნალი „სტილი“ ულოცავს ბატონ ზურაბ ნიჟარაძეს 80 წლის იუბილას. უსურვავს მას ჯანაოთიელოვას და კვლავ, შემოქმედებით წარმატებულს.



Flirting with Fine Art

Zurab Nijaradze – this name does not require any epithets...

Friends know this man as Piko...

And he seems to have many friends, but this is what you see at a glance; at a closer look it turns out that Zurab Nijaradze keeps himself at a distance from the outer world and tries to approach the others through his estrangement.

Artists like Nijaradze are usually described as living classics, though he always treats such trivial labels with irony.

Nonetheless he is a classic – the artist who managed to assert himself in Georgian (and not only Georgian) art without attracting excessive attention to himself.

Nijaradze is primarily a colorist, for whom the color is the major means of expressing the aesthetic plane of the universe.

On the other hand, he is surprisingly skillful at drawing.

And he is a true aesthete, never succumbing to pastiche and distanced from mannerism.

Zurab Nijaradze never falls a slave to model and expresses himself in his compositions as an artist capable of improvising, perceiving the slightest motions and gestures as well as the spiritual world hidden behind them.

With inexhaustive elegance, the artist can diversify one and the same motive, playing the same role countless number of times like a true actor.

Nijaradze's inner world is a giant cultural the-

sauros, manifesting itself in his paintings as a combination of different, sometimes conflicting trends from Fayum portraits to Matisse...

Nijaradze's paintings are unique universes with their unique characters – attractive characters radiating Piko's aura...

In the artist's interpretation mythological personages look surprisingly modern, and our contemporaries turn ancient to further highlight the illusion of irreality, alienation.

Nijaradze's art also has an ethnic connotation, though this latter is modestly kept at a level of implication in the dramaturgy of his paintings.

The same is the painter's attitude toward drama, which remains reserved and bears a tint of irony.


Nijaradze is a transnational painter, he does not need to accentuate his nationality, his refined taste does not match provincialism.

Nijaradze's art is both elite and egalitarian, because it is based on the universal quality of beauty, conveying the world saturated with artistic inspiration, the world as boundless as human soul, nestled in a beautiful and healthy body...

DAVID ANDRIADZE

IDEA BY BUBA SVIMONISHVILI

Style magazine congratulates Mr. Zurab Nijaradze on his 80th anniversary and wishes him good health prosperity and success in his creative activities .





გამოვიდა არქიტექტორ მერაბ აბესაძის წიგნი "არწივის ბუდე". იგი შედგება ორი ნაწილისაგან:



პირველი მოიცავს ავტორის პროექტებს, პუბლიცისტურ და კრიტიკულ სტატიებს, საინტერესო პიროვნებათა შტრიხებს პორტრეტისატივის. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ქართული ენის, კერძოდ ანბანის არქიტექტონიკას. ამ გამოკვლევათა ნიადაგზე არის დამყარებული ქართული კალენდარისა და დროშის აგებულება.

წიგნში ვრცლად არის გაშუქებული მერაბ აბესაძის საგამოფენო მოღვაწეობა. მას მონყობილი აქვს 8 გამოფენა როგორც არქიტექტურული პროექტების, ასევე ნამუშევრების მხატვრობაში და ქანდაკებაში.

მეორე ნაწილი მოიცავს წმინდა მეცნიერული კვლევის შედეგს. კერძოდ, ეს არის მერაბ აბესაძის მიერ თავისი სადისერტაციო ნაშრომის თარგმანი მონოგრაფიის სახით. მაგრამ სადისერტაციო მასშტაბისაგან განსხვავებით წინამდებარე ნაშრომი მოიცავს არა მხოლოდ საბჭოთა საქართველოს ტერიტორიას, არამედ გავრცობილია თითქმის მთელს ამიერკავკასიაზე და ეფუძნება XII-XIII საუკუნეების საქართველოს ოქროს ხანის ფარგლებს.

დასკვნისას შეიძლება ითქვას, რომ წიგნის ორივე ნაწილს მთლიანობაში გენერალურ ხაზად მიყვება ავტორის დაუღალავი მონოღება ბუნებრივი, ანტროპოლოგიური სანყისების პრიორიტეტის დაფუძნებისა მოძალეული ტექნიცისტური სამყაროს რეალობებში.

Architect Merab Abesadze recently published his book "Eagle's Nest". The book describes the author's projects, publicist articles and critical reviews, narrates of interesting personalities. Special attention is dedicated to architectonics of Georgian alphabet, on which Georgian calendar and national flag are based.



ჩეხეთის მარგალიტები

2009 წლის 26 იანვარს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში „ქარვასლა“ ჩეხეთის საელჩოს ეგიდით გაიხსნა გამოფენა „ჩეხეთის მარგალიტები“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ის საუკეთესო გამოგონებები, კვლევები და სხვა ფასეულობები, რომლითაც ჩეხეთის რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპისა და მსოფლიოს მეცნიერების, ხელოვნების, არქიტექტურისა თუ საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროებში.

ჩეხეთის რესპუბლიკა ევროპის ცენტრში მდებარეობს. იგი პატარა ქვეყანაა, მაგრამ მისი გეოგრაფიული მდებარეობა მის მდიდარ ისტორიას განსაზღვრავს. ქართველი საზოგადოებისათვის ჩეხეთის მარგალიტების გაცნობა დღევანდელ დღეს განსაკუთრებით საინტერესოა, რადგანაც ჩეხეთის რესპუბლიკა ამჟამად არის ევროსაბჭოს წარმომადგენლობითი ქვეყანა.

გთავაზობთ გამოფენაზე წარმოდგენილ რამოდენიმე საინტერესო მარგალიტს ჩეხეთის მარგალიტებისა.

პრატის ციხესიმაგრე - გინესის წიგნის შესატყვისად, კომპლექსი წარმოადგენს მსოფლიოში უმსხვილეს ციხესიმაგრე-რეზიდენციას.

ყველაზე დიდი ვერტები - მსოფლიოში ყველაზე დიდი სახალხო ვერტებით ამაყობს ქალაქი ინდრჟისხუ-გარდეცი სამხრეთ ჩეხეთში სამეფო ცხენები - ძველი კლადრუბკუს ცხენი - უნიკალური გამოყვანილი ჯიში, რომელიც იყო ჩართული კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის იუნესკოს ჩამონათვალში.

სამკურნალო წყაროები - საქვეყნო პოპულარობით სარგებლობენ უპირველეს ყოვლისა კურორტები დასავლეთ ჩეხეთში, ქალაქების - კარლოვი ვარის, მარიანსკე ლაზნეს და ფრანტიშკოვი ლაზნეს „ოქროს სამკურნალო“.

ჩეხური ზანზალაკი - ძვირფასი მცენარე, ენდემური სახეობა, იზრდება მხოლოდ ჩრდილოეთ ჩეხეთის კრკონოშის მთის მასივზე.

Czech Gems

On January 26 2009 exhibition titled "Czech Gems" was organized in Georgian National Museum "Karvalsa" by the Embassy of Czech Republic.

The exhibition featured the inventions, researches and other values, which the Czech Republic contributed to development of European and world science, culture, architecture and other domains of public life.

Czech Republic – a small country with surprisingly rich history – is located in Central Europe. An opportunity to get familiar with the "Czech Gems" is especially attractive for the Georgian public today, when the Czech Republic holds the EU Presidency.

Below please find a listing of some of the most interesting exhibits, featured at the above exhibition:

Prague Castle – according to the Guinness book of Records, this complex is the largest castle in the world.

Royal (Kladruher) horses – a unique breed, listed in the UNESCO list of world cultural heritage.

Spas – Czech spas are well known all over the world; the most popular among them are located in the "golden triangle" between Karlovy Vary, Marianske Lazne and Frantiskovy Lazne.

Czech bellflowers (Campanula Bohemica) – valuable plant, endemic variety growing only in Krkonose Mountains, located in the northern part of the country.

საერთაშორისო უძრავი ქონების, მენეჯმენტის და რეკონსტრუქციის კომპანია



„საერთაშორისო უძრავი ქონების“



შემდგომი ინფორმაცია

Tel: *1020
(+995 32) 379999
Mob:(+995 97) 379999
Fax: (+995 32) 375190
info@sascogroup.ge

WWW.SASCOGROUP.GE



DS art

საპროექტო
სამშენობლო
კომპანია



სამშენობლო
კომპანია

☎ 30 23 24
☎ 099 102 996